პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 290 (18832) კვირა, 18 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კონსტიტუციის 90-ე მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1984 წლის 4 მარტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 16 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

შეიქმნა კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის კონსტიტუციის 110 მუხლის შესაბამისად და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1983 წლის 16 დეკემბრის გრძანებულებით შექმნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების 750 საარჩევნო ოლქი. აქედან

საქართველოს სს რესპუბლიკაში:

658. თბილისის — პირველი მაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, პირველი მაისის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის გლდანის, ლენინის, ოქტომბრისა და პირველი მაისის რაიონები.

659. თბილისის — კალინინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, კალინინის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის 26 კომისრის, საქარხნო, კალინინისა და კიროვის რაიონები.

660. თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო) ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონი დაბა წყნეთითურთ, საბურთალოს რაიონი და გარდაბნის, დუშეთის, ყაზბეგის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და წალკის რაიონები.

661. ბათუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი ქალაქი — ბათუმი) აჭარის ასსრ.

662. ბორჯომის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბორჯომი). ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონები.

663. გორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გორი). ქალაქები გორი, ცხინვალი და გორის, ჯავის, ზნაურის, ქარელის, კასპის, ლენინგორის, მცხეთისა და ცხინვალის რაიონები.

664. გურჯაანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გურჯაანი). ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავისა და წითელწყაროს რაიონები.

665. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზესტაფონი). ქალაქი ჭიათურა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებითურთ და ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, საჩხერისა და თერჯოლის რაიონები.

666. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზუგდიდი). ქალაქი ზუგდიდი და გალის, ზუგდიდის, მესტიის, ოჩამჩირისა და წალენჯიხის რაიონები.

667. ქუთაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქუთაისი). ქალაქები ქუთაისი და ტყიბული საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებითურთ და ამბროლაურის, ლენტეხის ონისა და ცაგერის რაიონები.

668. ფოთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ფოთი). ქალაქი ფოთი და ლანჩხუთის, მახარაძის, ხობის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონები.

669. რუსთავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი რუსთავი). ქალაქები მარნეული, რუსთავი და ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონები.

670. სამტრედიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სამტრედია). ქალაქი წყალტუბო საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებითურთ და აბაშის, ვანის, გეგეჭკორის, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონები.

671. სოხუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქები: გაგრა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებითურთ, სოხუმი, ტყვარჩელი და გუდაუთის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

შეიქმნა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის კონსტიტუციის 110-ე მუხლის შესაბამისად და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-13 და მე-15 მუხლების საფუძველზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1983 წლის 16 დეკემბრის გრძანებულებით შექმნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 750 საარჩევნო ოლქი, აქედან

საქართველოს სს რესპუბლიკაში:

161. თბილისის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ლენინის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის გლდანისა და ლენინის რაიონები.

162. თბილისის — კიროვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, კიროვის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის კალინინისა და კიროვის რაიონები.

163. თბილისის — 26 კომისრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, 26 კომისრის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის 26 კომისრისა და საქარხნო რაიონები.

164. თბილისის — ოქტომბრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი. თბილისი, ოქტომბრის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონი, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონები.

165. თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონი დაბა წყნეთითურთ და საბურთალოს რაიონი.

166. თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თბილისი, პირველი მაისის რაისაბჭო). ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონი.

167. ამბროლაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ამბროლაური). ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის რაიონები.

168. ახალქალაქის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ახალქალაქი). ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონები.

169. ახალციხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ახალციხე). ადიგენის, ახალციხის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონები.

170. ბათუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — [illegible] ბათუმი). ქალაქი ბათუმი და ხელვაჩაურის რაიონი.

171. ბოლნისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბოლნისი). ქალაქი მარნეული და ბოლნისისა და მარნეულის რაიონები.

172. გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა გეგეჭკორი). აბაშის, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონები.

173. გორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გორი). ქალაქი გორი, გორისა და ქარელის რაიონები.

174. გურჯაანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გურჯაანი). გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონები.

175. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზესტაფონი). ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონები.

176. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ზუგდიდი). ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის, მესტიისა და წალენჯიხის რაიონები.

177. ქობულეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქობულეთი). ქედის, ქობულეთის, ხულოსა და შუახევის რაიონები.

178. ქუთაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქუთაისი).

179. მახარაძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი მახარაძე). ლანჩხუთის, მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონები.

180. მცხეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი მცხეთა). კასპის, მცხეთისა და თიანეთის რაიონები.

181. ოჩამჩირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ოჩამჩირე). ქალაქი ტყვარჩელი, გალისა და ოჩამჩირის რაიონები.

182. რუსთავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი რუსთავი). ქალაქი რუსთავი და გარდაბნის რაიონი.

183. სამტრედიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სამტრედია). ვანის, მაიაკოვსკისა და სამტრედიის რაიონები.

184. სიღნაღის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სიღნაღი). ლაგოდეხის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები.

185. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქი სოხუმი და გულრიფშის რაიონი.

186. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქი გაგრა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებითურთ, გუდაუთისა და სოხუმის რაიონები.

187. თელავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თელავი). ახმეტის, ყვარლისა და თელავის რაიონები.

188. თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი თეთრი წყარო). დმანისის, თეთრი წყაროსა და წალკის რაიონები.

189. ცხაკაიას საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხაკაია). ქალაქი ფოთი, ხობისა და ცხაკაიას რაიონები.

190. წყალტუბოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი წყალტუბო). ქალაქები ტყიბული, წყალტუბო, საქალაქო საბჭოებისადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებითურთ და წულუკიძის რაიონი.

191. ცხინვალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

192. ჭიათურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ჭიათურა). ქალაქი ჭიათურა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებითურთ, ორჯონიკიძისა და საჩხერის რაიონები.

(დასასრული მე-2 გვ.)

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიაში

ალოობა დამთავრდა, ალოობა გრძელდება

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის მორიგ სხდომაზე განიხილეს 1983 წლის ჩაის ალოობის შედეგები და მომავალი სასოფლო-სამეურნეო წლის ამოცანები.

კოლეგიამ გააანალიზა კამპანიის გაკვეთილები და აღნიშნა, რომ მეჩაიეებმა, რომლებმაც ამინდის რთულ პირობებში მოკრიფეს 555690 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმასთან შედარებით 21 ათასი ტონით მეტია, შეეძლოთ კიდევ უფრო დიდი წარმატებისათვის მიეღწიათ, ყველა რაიონსა და მეურნეობას რომ სრულად გამოეყენებინა არსებული რეზერვები, მკაცრად დაეცვა ჩაის მოყვანისა და კრეფის აგროწესები. მაგალითად, წულუკიძის, ლანჩხუთის, ხობის, გეგეჭკორის, გალის, მახარაძის, რაიონების, ქალაქ ტყიბულის ზონის მეურნეობებმა ვერ შესრულეს შექანიზებული წესით ჩაის ფოთლის კრეფის დავალება.

რესპუბლიკაში მოკრეფილ მთელ ხარისხოვან ჩაიში პირველი ხარისხის ნედლეული შედგენს 70,3 პროცენტს. ამ მაჩვენებელს გადაჭარბეს ქობულეთის, ხელვაჩაურის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ვანის რაიონების, ქალაქ ჭიათურის ზონის მეჩაიეებმა. ამავე დროს დაბალი იყო ხარისხობრივი მაჩვენებლები წულუკიძის, სამტრედიის, ცხაკაიას, წალენჯიხისა და თერჯოლის რაიონების, ქალაქ წყალტუბოს ზონის მეურნეობებში.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩაის მიკროფაბრიკებმა. მათ გადაამუშავეს 32 ათასი ტონა ნედლეული და გამოიმუშავეს რვა ათასი ტონა ნახევარფაბრიკატი და მზა პროდუქცია, რომელიც ყველა პარამეტრით ჯობს ძირითადი ჩაის ფაბრიკების პროდუქციას.

კოლეგიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეჩაიეთა წარმატებები შესამჩნევი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცხადებულმა პლანტაციების მოვლის სამთვიურმა. მაგრამ მთელი რიგი რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა ზოგიერთი კოლეგიურობის თავმჯდომარეებმა და საბჭოთა მეურნეობის დირექტორებმა, აგრონომებმა და ბრიგადირებმა სათანადო ყურადღება არ დაუთმეს რესპუბლიკაში მიწათმოქმედების ამ წამყვანი დარგის შემდგომ განვითარებას. ირღვეოდა პლანტაციების მოვლის და ჩაის კრეფის აგროწესები, ზოგან იყენებდნენ აკრძალულ ხერხებს, უგულებელყოფდნენ ჩაის კრეფის პროგრესულ წესებს, ნიადაგში არ შეჰქონდათ საკმაო რაოდენობის სასუქი. ასეთი ფაქტები იყო ჩოხატაურის, სამტრედიის, ხობისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებში.

წულუკიძის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში იმის გამო, რომ დროულად არ მოამზადეს მოედნები შექანიზებული კრეფისათვის, 180 ჰექტარზე ეს სამუშაო ხელით შესრულდა. იგივე მოხდა ოჩამჩირის, ჩოხატაურის, მახარაძისა და ზუგდიდის რაიონებში.

მთელ რიგ რაიონებში ირღვეოდა ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-პატრონობის წესები, იგრძნობოდა სათადარიგო ნაწილების, საჭირო კვანძებისა და დეტალების ნაკლებობა.

ჩაის ფოთლის შექანიზებული კრეფის ორგანიზაციაში დარღვევები დაშვებული იყო ხელვაჩაურის რაიონის სოფლების ურეხის, ახალშენის, ჩაისუბნის, ჩორნალის და მახინჯაურის კოლმეურნეობებში (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — ვ. ბოლქვაძე), ქობულეთის რაიონის სოფლების ზედა ულიანოკის, ციხისძირის, ჩახათის, კვირიკეს, დაგვისა და ალამბრის კოლმეურნეობებში, ცეცხლაურის, ჩაქვის, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობებში (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — ა. გოგოლიშვილი), ოჩამჩირის (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — ა. შონია), გალის (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — რ. შონია) ზუგდიდის (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — მ. დემერია), ლანჩხუთის (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ა. დარჩია) და სხვა რაიონების მეურნეობებში.

კოლეგიამ უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად ჩათვალა საფუძველი ჩაეყაროს 1984 წლის მოსავალს, ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმების შესრულების უზრუნველყოფას, რისთვისაც გადაწყვიტა მიმდინარე წლის დეკემბერი და მომავალი წლის იანვარ-თებერვალ-მარტი გამოცადოს ჩაის პლანტაციებში დამკვრელური შრომის თვედად.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს, დაგვალათ მთელი ოთხთვიურის მანძილზე მაღალ დონეზე მოაწყონ პლანტაციების მოვლის ყველა სეზონური სამუშაო, მკაცრად დაიცვან ჩაის მოვლა-მოყვანის აგროწესები, უზრუნველყონ მეცნიერთა რეკომენდაციების განხორციელება, მუშაობის პროგრესული მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა, ფართოდ გავრცელონ უხვმოსავლიანი „კოლხეთის“ ჯიშის ჩაი.

დასახლია ამოცანა პლანტაციების მაღალხარისხოვან დამუშავებასთან დაკავშირებულმა ყველა სამსახურმა ზუსტად, გამართულად იმუშაოს ტექნიკის საიმედო მოვლა-შენახვისათვის, მომავალ სეზონში სამუშაოდ ჩაის ფაბრიკების დროული მომზადებისათვის.

ზამთარ-გაზაფხულის სამუშაოების ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების მიზნით, რომლებიც წინ უსწრებს ჩაის ფოთლის კრეფას, კოლეგიამ შეიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, მახარაძის, ზუგდიდისა და მეჩაიეთის სხვა რაიონებში სახელმწიფო კომიტეტის წამყვან სპეციალისტებისაგან შექმნას რესპუბლიკური კომისიები. (საქინფორმი).

შარშანდელთან შედარებით დმანისის რაიონმა დაამზადა 194 ათასი ტონით მეტი რძე, 176 ათასი ცალით მეტი კვერცხი; თერჯოლის რაიონმა — 619 ტონით მეტი ხილი, 53 ტონით მეტი ხორცი; მახარაძის რაიონმა — 3.037 ტონით მეტი ჩაი; სამტრედიის რაიონმა — 1.378 ტონით მეტი ბოსტნეული, 2.020 ტონით მეტი ხილი, 849 ტონით მეტი ყურძენი; ჩხოროწყუს რაიონმა — 702 ტონით მეტი ხილი, 863 ტონით მეტი ჩაი, 44 ტონით მეტი ხორცი.

რესპუბლიკის მეწარმეები სამეფოს უპატაკებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ ახალ შრომით წარმატებებს

წელიწადს აგვირგვინებს დამკვრელური გარჯის ნაყოფი!

მინისტრთა საბჭოს პირობა შეასრულეს!

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, დმანისის, თერჯოლის, მახარაძის, სამტრედიისა და ჩხოროწყუს რაიონების სოფლის მეშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკისათვის საიუბილეო წელს, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქციის მიყიდვის დავალებანი.

დმანისის რაიონი:

დამზადებულია 12.345 ტონა კარტოფილი, 9.062 ტონა რძე, 2.016 ათასი ცალი კვერცხი, შესრულდა აგრეთვე ხორცისა და მატყლის დამზადების დავალებანი.

თერჯოლის რაიონი:

დამზადებულია 393 ტონა მარცვლეული, 7.302 ტონა ბოსტნეული, 3.526 ტონა ხილი, 25.939 ტონა ყურძენი, 1.269 ტონა ხორცი, 2.422 ტონა რძე, 4.096 ათასი ცალი კვერცხი.

მახარაძის რაიონი:

დამზადებულია 1.110 ტონა მარცვლეული, 24.044 ტონა ხილი, 105.224 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 31.600 ტონა ციტრუსები, 2.732 ტონა ხორცი, 2.252 ათასი ცალი კვერცხი.

სამტრედიის რაიონი:

დამზადებულია 1.620 ტონა მარცვლეული, 20.937 ტონა ბოსტნეული, 8.997 ტონა ხილი, 2.622 ტონა ყურძენი, 2.505 ტონა ხორცი, 8.800 ათასი ცალი კვერცხი.

ჩხოროწყუს რაიონი:

დამზადებულია 722 ტონა მარცვლეული, 6.960 ტონა ხილი, 26.703 ტონა ჩაი, 1.416 ტონა ხორცი, 2.457 ტონა რძე, 3.017 ათასი ცალი კვერცხი.

(საქინფორმი).

გამარჯვებულთა მხარდამხარ

მიმდინარე წლის 11 თვეში წლიური გეგმის გადამეტებით 400 ათას მეტრზე მეტი ტექნიკური ლენტი გამოუშვა მჭსოველთა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ნანი ბესელია ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა უკვე 1984 წლის თებერვლის ანგარიშში მუშაობს, თვითონ ხელმძღვანელი კი 1985 წლის თებერვლის ანგარიშში. ბრიგადის ყველა წევრს პირადი დამღა აქვს. მათ მიერ გამოშვებული მთელი პროდუქცია ხარისხისნიშნიანია. ნანი ბესელია ფაბრიკაში 1965 წელს მოვიდა, თბილისის № 36 პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. 1973 წელს პარტიაში მიიღეს.

სურათზე: კომკავშირელი მჭსოველი როზა გერლიანი და ნანი ბესელია.

ფ. კრიმსკის ფოტო.

წლიური გეგმა შეასრულეს

● **ცხინვალი.** (საკ. კორ.). საახალწლო სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავ შრომითს წარმატებებს აღწევს ცხინვალის ქიმიური ქარხნის კოლექტივი. მან გადაჭარბებით შეასრულა თერთმეტი თვის სახელმწიფო დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებულია 60 ათასი მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

მუყაოთი შრომის შედეგად ცხინვალელმა ქიმიკოსებმა უკვე შეასრულეს მოგების წლიური გეგმა. გათვალისწინებული 300 ათასი მანეთის ნაცვლად მიღებულია 330 ათასი მანეთის მოგება. ეს საწარმოს ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს გაუმჯობესოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

ყოველი დღე ქარხანაში დამკვრელურია. შეჯიბრების სათავეშია ლაქ-საღებავების საამქრო. მათ 1300 ტონაზე მეტი ხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვეს, ეს დავალებას 80 ტონით სჭარბობს.

ასევე წარმატებით სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდის, ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოშვების, თვითღირებულების შემცირების გეგმებიც.

● **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის კაბელის ქარხნის კოლექტივი დიდებულად შრომობს. მან ჯერ კიდევ ნოემბერში შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის 3 წლის პროდუქციის გამოშვების გეგმა. წლის ბოლომდე წარმოებული იქნება 1 მილიონი მანეთის ზეგეგმითი კაბელები.

წლეულს მართლაც შესაშური ენერგიით შრომობენ ზესტაფონელი მეკაბელეები. მოსკოვიდან მიღებული დეპეშით მათ შეატყობინეს, რომ მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს შორის ისინი გამარჯვებულად ცნეს და საკავშირო გარდამავალი დროშა დაამსახურეს.

● **ამბროლაური.** (საკ. კორ). მე-10 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი — შ. ქევანაშვილი) მოწინავე კოლექტივმა, რომელმაც ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის შუაგული წლის ღირსეული დამთავრებისათვის, ვადამდე ერთი თვით ადრე უპატაკა სამშობლოს გზის მშენებლობის წლიური სახელმწიფო დავალების შესრულება. საგეგმოს გადამეტებით უკვე ათვისებულია 173 ათასი მანეთი. იანვარ-ნოემბერში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპმა 6,5 პროცენტი შეადგინა. ასევე წარმატებით შესრულდა საგეგმო მოგებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური დავალებანი. წლეულს გეგმა ითვალისწინებდა 13,8 კილომეტრი შავსაფარიანი და 3 კილომეტრი თეთრსაფარიანი გზის დგებას. ფაქტობრივად აიგო 14,2 კილომეტრი შავსაფარიანი და 3,5 კილომეტრი თეთრსაფარიანი გზა.

ამ გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს რაციონალიზატორებმა. მარტო ერთმა რაციონალიზატორულმა წინადადებამ, რომლის ავტორები არიან ინჟინერები შ. ქევანაშვილი და მ. ახვლედიანი 265 ათასი მანეთი ეკონომია მისცა საწარმოს. გარდა ამისა, დაიზოგა 900 ტონა ცემენტი და 169 კუბური მეტრი ხე-ტყე.

გრაფიკის დიდი გასწრებით შრომობენ სამმართველოს ის უბნები, რომელთაც ენთუზიასტი გზის მშენებლები ი. ხიდაშელი, მ. მემანიშვილი, მ. ახვლედიანი და დ. გაგოშიძე უდგანან სათავეში.

● **ბოდბისი.** (საკ. კორ.). ბოდბისის ბაზა-ინტერნატის ბავშვებმა ბაღჩეულობის ბრიგადა ორ ჰექტარზე ბოლოკი, ჭარხალი, ბაზილიკა, ბაბალო, ბოსტნეული, ბალბალა, ბალბალა, ბალბალა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

შეიქმნა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

(დასასრული)

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში

481. სოხუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქ სოხუმის აღმოსავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ჭოჭუასა და ყაზბეგის ქუჩებიდან.

482. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი სოხუმი). ქალაქ სოხუმის დასავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ჭოჭუასა და ყაზბეგის ქუჩებამდე.

483. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). სოხუმის რაიონი.

484. გაგრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გაგრა). ქალაქი გაგრა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული დასახლებული პუნქტებითურთ.

485 გალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გალი). გალის რაიონი.

486. გუდაუთის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გუდაუთა). გუდაუთის რაიონის ნაწილი: ქალაქი გუდაუთა, დაბა ახალი ათონი და აბლარუჩის, ააცის, ანუხვის, აჭანდარის, ყულანურჩვის, მწარის, პრიმორისა და ფსირცის სასოფლო საბჭოები.

487. გუდაუთის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გუდაუთა). გუდაუთის რაიონის ნაწილი, აგარაკის, ახალსოფლის, ბარმიშის, ბლაბურჩვის, ჯირხვის, დურიფშის, ზვანდრიფშის, კალდახვარის, ლიხნის, მუგუძირჩვის, ოთხარისა და ხოფის სასოფლო საბჭოები.

488. გულრიფშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა გულრიფში). გულრიფშის რაიონი.

489. ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ოჩამჩირე), ოჩამჩირის რაიონის ნაწილი: ქალაქი ოჩამჩირე და აგუ-ბედიის, არასაძიხის, ბესლახუბის, გუფის, ილორის, ოხურეის, ფოქვეშის, რეკისა და ტყვარჩელის სასოფლო საბჭოები.

490. ოჩამჩირის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ოჩამჩირე), ოჩამჩირის რაიონის ნაწილი, აძიუბეის, არადუს, არაკიჩის, ათარის, ათარა არმიანსკოეს, ახალკინდღის, ღვადრს, ჯგერდის, კინდღის, ქოჩარის, კუტოლის, ლაბრის, მოქვის, მერკულის, ოტაფის, ტამიშის, თხინისა და ჭლოუს სასოფლო საბჭოები.

491. ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ტყვარჩელი). ქალაქი ტვარჩელი.

აჭარის ასს რესპუბლიკაში

492. ბათუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — ჭავჭავაძისა და ენგელსის ქუჩები.

493. ბათუმის — შაუმიანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — ლენინიძის, მ. აბაშიძის, ბაგრატიონის, მახარაძის, ჭავჭავაძის, ენგელსის ქუჩები.

494. ბათუმის — ფრუნზეს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი), ქალაქ ბათუმის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ლენინიძის, მ. აბაშიძის, ბაგრატიონის, მახარაძის, ჭავჭავაძის, შაუმიანის ქუჩები.

495. ბათუმის — ზღვისპირეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი — ჭავჭავაძის და შაუმიანის ქუჩები.

496. ახალშენის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ახალშენი). ხელვაჩაურის რაიონის ნაწილი: დაბა მახინჯაური და ახალშენის, ურეხისა და ჩაისუბნის სასოფლო საბჭოები.

497. ქედის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ქედა). ქედის რაიონი.

498. ქობულეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ქობულეთი.) ქობულეთის რაიონის ნაწილი: ქალაქი ქობულეთი, დაბა ოჩხამური და ქაქუთის, ქობულეთის, ლეღვას, მუხაესტატესა და ჩახათის სასოფლო საბჭოები.

499. ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხელვაჩაური). ხელვაჩაურის რაიონის ნაწილი: დაბა ხელვაჩაური და აჭარის აღმართის, აჭარისწყლის, გონიოს, კახაბერის, კირნათის, სარფისა და თხილნარის სასოფლო საბჭოები.

500. ხულოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხულო). ხულოს რაიონი.

501. ჩაქვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჩაქვი). ქობულეთის რაიონის ნაწილი: დაბა ჩაქვი და ბობოყვათის, კვირიკეს, ულიანოვსკის, ხალის, ხუცუბნისა და ციხისძირის სასოფლო საბჭოები.

502. შუახევის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა შუახევი). შუახევის რაიონი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

736. ცხინვალის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი). ქალაქი ცხინვალი.

737. ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ცხინვალი). ცხინვალის რაიონი.

738. ჯავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჯავა.). ჯავის რაიონი.

739. ზნაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ზნაური). ზნაურის რაიონი.

740. ლენინგორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ლენინგორი). ლენინგორის რაიონი.

პარტიული ცხოვრება:
მიმდინარეობს კონფერენცია

სამერმისო განზომილებებით

კონფერენციის დაწყებამდე-ვე გამეღავნდა ძალუმად მისი ზოგადი მიმართულება — კრიტიკული და თვითკრიტიკული უნდა ყოფილიყო. თუ რატომ, საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ლენინჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. კუნჭულიამ: დღეს ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ მიღწეულს და აქცენტი ძირითადად უახლოეს პერიოდში გადასაწყვეტ პრობლემებსა და ამოცანებზე გადაგვაქვს, რათა მომავალ კონფერენციაზე ასეთი ნათლად ვუპასუხოთ — რას მივაღწევთ, რას ვერა და რა მიზეზით. მაგრამ ითქვა ისიც, რომ მიღწეული უკვე წარსულია, თუმცა უამწარესულოდ, უამფასეველოდ, უამბაზისოდ მომავალი ვერ აშენდება. იმ წარსულსაც, იმ მატიანედ ქცეულ მიღწევებსაც და წარუმატებლობასაც სჭირდება ანალიზი, ამასთან კრიტიკული.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეკონომიკა კონცენტრირებული პოლიტიკაა და დღეს პარტიული მუშაობა წარმოუდგენელია ეკონომიკის აღმავლობისათვის ბრძოლის გარეშე. ამიტომ ბუნებრივია, რომ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში ერთ-ერთ ძირითად ადგილს სწორედ ეს მომენტი იკავებს.

როგორც კონფერენციაზე გამოჩნდა, პარტიის რაიონულ კომიტეტში რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცდილების შესაბამისად დაამუშავეს და ახორციელებენ ძალთა კონცენტრაციის ღონისძიებებს 16 ძირითადი მაჩვენებლის, აგრეთვე რაიონისათვის ყველაზე მწვავე პრობლემების მიხედვით. ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ეს სისტემა წელს პირველად დაინერგა ყველა საზოგადოებრივ მეურნეობასა და რამდენიმე სამრეწველო საწარმოს პირველად პარტიულ ორგანიზაციაში. პირველი შედეგები იმედის მომცემია, მაგრამ პრობლემების მიხედვით სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების შექმნის პრაქტიკა თავისთავად ახალია და იგი შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. უახლოეს პერიოდში პარტიის რაიონული კომიტეტი პლენუმზე დაამტკიცებს საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით ძალთა კონცენტრაციის ახალ გეგმას.

ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას ისახავს მიზნად აგრეთვე ორმხრივი და მრავალმხრივი ღონისძიებების შემუშავების პრაქტიკა. ასეთი ღონისძიებები შემუშავდა როგორც რაიონის ზიგნით ცალკეულ ორგანიზაციებში, ასევე ორგანიზაციების შესაბამისად პარტიის რაიკომსა და სამინისტროებს შორის.

დაიდო აგრეთვე ხელშეკრულება საშენ მასალათა კომბინატს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და პარტიის რაიკომს შორის, რომლის საფუძველზე უცხოური დანადგარებით კომბინატი ბაბბუკის ახალ ნაწარმს გამოუშვებს.

პარადოქსს ჰგავს, მაგრამ ფაქტია: კრიტიკა და თვითკრიტიკა ყოველთვის ცუდად მოწყობილი საქმის მაჩვენებელი როდია. იგი ხან უბრალოდ დაუკმაყოფილებლობის გრძნობის ლოგიკური და კანონზომიერი შედეგია, ხან კი, უფრო მეტიც — წარმატების მიმნიშნებელიც კი შეიძლება იყოს. საქმე ის არის, რომ წარმატებასაც ახლავს ერთგვარი გაცაცება. დღეს თუ კარგად გამოიღებ ხელს და გამარჯვების ლიტკბოს იგემებ, ხვალ ის აღარ გაკმაყოფილებს, უფრო მეტად გინდა გაისარჯო, მეტს მიაღწიო და ასე დაუსრულებლად... აი ამგვარ ფონზე განსაკუთრებულ დისონანსს ქმნის ხოლმე გაუკეთებელი საქმე და მასთან შეურიგებლობის გრძნობამ არ შეიძლება ხმა არ ამოგაღებინოს. ამიტომაც იყო, რომ (თუმცა ფაქტი ფაქტად დარჩა) წინა კონფერენციის მოთხოვნები ყველა უმნიშვნელოვანესი პროდუქციის მიხედვით შესრულებულია. ამასთან წარმატება ძირითადად წარმოების ინტენსიფიკაციის გზით არის მიღწეული. (საშუალოდ წელიწადში, წინა ხუთწლედისაგან განსხვავებით, 37 მილიონ 500 ათასის ნაცვლად 47 მილიონ 700 ათასი მანეთის პროდუქციაა გამოშვებული). ფაქტია ისიც, რომ კარგი ეკონომიკური უკუგება აქვს ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებაში წარმოების მოდერნიზაცია-ავტომატიზაციაზე გაწეულ დანახარჯებს — 1983 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულმა ექსპერიმენტულმა ქარხანამ უკვე გამოუშვა მილიონ 400 ათას მანეთზე მეტი ღირებულების გამამხნევებელი სასმელი „ოლხური“ და ჩაის კონცენტრატი.

კონფერენციაზე მაინც თვითკრიტიკა დომინანტობდა. ამგვარი ტონი კი ძირითადად საანგარიშო მოხსენებამ განსაზღვრა, რომელშიც ითქვა, რომ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის მიუხედავად, დარგის განვითარებაში ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ ბევრია. საკონსერვო ქარხანა, საშენ მასალათა კომბინატი, ცეკავშირის სარაიონთაშორისო კომბინატი, ყველისა და რძის ქარხანა და ზოგიერთი სხვა საწარმო ხშირად ყველა სახეობის პროდუქციის გამოშვების გეგმებს ვერ ასრულებენ, რასაც სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა მოსდევს.

არასასურველი ტენდენცია შეინიშნება ამ ბოლო ხანებში ჩაის საწარმოო გაერთიანებასა და საკონსერვო ქარხანაში, სადაც ჩამოყალიბდა მცდარი შეფარდება შრომის ნაყოფიერებისა და მუშის ანაზღაურების ზრდის ტემპს შორის. წლეულს ათ თვეში მეორე პირველს ოთხი პუნქტით უსწრებდა. პარტიის რაიკომის ბიუროს, სამეურნეო წლის პირველი ნახევრის შედეგებს რომ აჯამებდა, იმსჯელა შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემებზე. საჭიროა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის სამუშაო ჯგუფმა მკაცრ კონტროლზე აიყვანოს შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხი არა მარტო მრეწველობაში, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

აღინიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში წარმოებულია მთლიანად ხუთწლედში გამოსაშვები პროდუქციის 64 პროცენტი, მაგრამ პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდის პერსპექტივა არასახარბიელოა, რაც განსაკუთრებით ჩაის ფოთლის წარმოების გადიდების შეზღუდულობით არის გაპირობებული. ამიტომაც ლენინის, აკეთის ჩაის ფაბრიკების, აგრეთვე ჯურუყვეთისა და ჩოჩხათის მიკროფაბრიკების საწარმოო სამძღვრები, რომლებიც უახლოეს პერიოდში ამოქმედდება, ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნეს პროდუქციის უდანაკარგოდ გადამუშავებისა და აქედან გამომდინარე მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

რეზერვები მეტ-ნაკლებად ყველა სამრეწველო საწარმოს აქვს. ერთ-ერთი ასეთი რეზერვთაგანია დამხმარე წარმოებების განვითარება. მალე მწყობრში ჩადგება ჯურუყვეთის და ჩოჩხათის ჩაის მიკროფაბრიკები, სუფსის კომეურნეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებელი საამქრო. აღგილობრივი ნედლეულის ბაზაზე შესაძლებელია 10 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება.

საკუთარი თავის და ერთმანეთის მიმართ მომთხოვნელობის პოზიციას არ უღალატეს გამომსვლელებმა სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის შეფასების დროსაც. აღინიშნა, რომ ძირითადად შესრულებულია XXXV კონფერენციის მოთხოვნა სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების უპირატესი განვითარების ტენდენციის შენარჩუნების შესახებ. დარგები ძირითადად რეზერვების ხარჯზე უნდა განვითარდეს. რეზერვები ბევრია, ოღონდ მათი გონივრული გამოყენებაა საჭირო. აკიღოთ თუნდაც სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეჩაიეობა. 1981-1983 წლებში წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით რაიონში 17 პროცენტით მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოიკრიფა. უფრო მეტიც, ახლა საზოგადოებრივ სექტორში გაცილებით უკეთესი მოსავალი მოჰყავთ, ვიდრე საკარმიდამო ნაკვეთებზე. ამის მიუხედავად, არსებობს ჩაის წარმოების კიდევ უფრო გადიდების რეზერვები, და საკმაოდ სოლიდურიც. ეს გახლავთ ახალი ფართობების გაშენება, აგრეთვე ამორტიზებული ნაკვეთების უხვმოსავლიანი ჯიშის „კოლხურით“ შეცვლა და სხვ. რეზერვები მარტო რაოდენობისა კი არა, ხარისხისათვის ბრძოლაშიც არის. თუნდაც ჩაის ფოთლის დამზადების ორგანიზაციის სისტემის სრულყოფა და ა. შ.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს მიეყიდა 114 პროცენტით მეტი ციტრუსი, 23 პროცენტით მეტი ხილი, 19 პროცენტით მეტი ბოსტნეული. მაგრამ ეს თვითდამშვიდების უფლებას არავის აძლევს აქ, რადგანაც მეცხოველეობა კვლავ რჩება დარგის ვიწრო ადგილად. კვლავ მეტისმეტად დიდია მეცხოველობის პროდუქტების თვითღირებულება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთი ცენტნერი რძის წარმოებაზე აქ ჯერ კიდევ იხარჯება 51 მანეთი და 50 კაპიკი, ძროხის ხორცისაზე — 562 მანეთი, ღორისაზე — 337 მანეთი. დარგის განვითარების პერსპექტივებზე რომ ლაპარაკობდნენ, როგორც მომხსენებელს, ისე კამათში გამომსვლელებს მხედველობაში უპირველესად ჰქონდათ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის ზრდის ტენდენცია, რომელსაც რაიონში ამ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე მიაღწიეს. ამ ტენდენციის გაძლიერება და გაღრმავება, აგრეთვე მოსახლეობასთან კოოპერირების სისტემის სრულყოფილად გამოყენება მომავალ წარმატებათა საწინდრად ესახებათ ლენჩხუთელ მეცხოველეებს.

პირუთვნელი კრიტიკა შეეხო იდეოლოგიურ ფრონტზე არსებულ ნაკლოვანებებს. ითქვა იმაზე, რომ ჯერ კიდევ ვხედებით ჩვენი ცხოვრების წესისათვის მუდმივად, მახინჯ მოვლენებს როგორიც არის დატაცება, სახელმწიფო ქონების მითვისება და სხვა. ამგვარი ფაქტები მოსახლეობის განწყობილებაზე, მის რწმენაზე უდავოდ უარყოფითად მოქმედებს.

ხალხის განწყობილება ყალიბდება აგრეთვე მომსახურების სფეროსთან, ვაჭრობასთან მისი ურთიერთობით. აქ კი, ვიყოთ გულწრფელნი, ხშირად კარგს მაინცდამაინც ვერაფერს ხედავს იგი. ამიტომაც ამ დარგებში წესრიგის დამყარება გადაუდებელი საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი მომენტი იყო დელეგატების გამოსვლებში. ამით მომავალი საანგარიშო პერიოდის ერთ-ერთ მთავარ მიზანს — დისციპლინის განმტკიცებას, იდეურ აღზრდას გაესვა ხაზი, რადგანაც სწორედ მტკიცე დისციპლინაა თავიდათავი, ამოსავალი წერტილი იმ გრანდიოზული საქმეებისა, მომავალ კონფერენციამდე რომ უნდა აკეთონ ლენჩხუთელებმა. თითქოს ეს ნათქვამი ერთგვარად ამოლიანებს მომავალში სხვადასხვა ფრონტით გასაწევლ მუშაობას, რომელიც პირობითად სამ განზომილებად წარმოუდგებათ კონფერენციის მონაწილეებს. ეს არის: ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფა და ორგანიზატორულ საქმიანობაში პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლება. ამ მიმართულებათა ერთიანობაა ჩვენი პარტიის მთავარი მიზანი. და ამ ერთიანობის მიღწევა განსაზღვრავს მომავალ წარმატებებსაც.

კონფერენციაზე ნაკლოვანებათა ხედვასა და მათთან შეურიგებლობის ატმოსფეროს გარდა მომავლის ჭვრეტის სურვილი და უნარიც გამოჩნდა აშკარად, ნთელი იყო ერთიც: რომ აქ ებრძვიან მოჩვენებითობას, პარადულობას მუშაობაში. ამას კონკრეტულ საქმიანობას ამჯობინებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ კონფერენციაზე ასეთივე კონკრეტული და საქმიანი საუბარი ექნებათ ლენჩხუთელ კომუნისტებს. ახალ წარმატებათა საფუძველს კიდევ ერთი რამ იძლევა: მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომელმაც მთელი კონფერენციის მიმდინარეობა განსაზღვრა და რის გამოც თავდანებებ შეთანხმდნენ მისი მონაწილენი — ყოფილიყვნენ კრიტიკულნი და თვითკრიტიკულნი, თვალი ესწორებინთ წარსულის შეცდომისათვისაც და შეუცდომლად განესაზღვრათ სამომავლო განზომილებანიც.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ქ. შარტავამ.

ბ. ხარებაშვილი.

სიღნაღის რაიონის მექანიზატორთა მიმართვას რესპუბლიკის მექანიზატორებისადმი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისა და საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მანქანა-ტრაქტორთა პარკის მომზადების შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ თეთრი წყაროს რაიონის კოლის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები.

სურათზე: მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი არჩილ დალაქიშვილი (მარცხნიდან), მოწინავე მექანიზატორები ჯიმშერ პაპაშვილი და ჯანიკო ავგაროზაშვილი ჩჭაროსნული მეთოდით არემონტებენ სიმინდის სათეს აგრეგატს.

ვ. გენგიურის ფოტო.

ვაჭრობა, ორგანიზაცია, პრობლემები

ჰმრანგის ნაცვლად გალიშის პირი

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს ზოგიერთი ორგანიზაცია, ვალდებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, გეგმასაც კი ვერ ასრულებს. ეს, ცხადია, ხელს შეუშლის სისტემის მთლიანი დავალების განხორციელებას.

მაგალითად, აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარების თერმეტი სავაჭრო ორგანიზაციიდან წლეულდელი 11 თვის საცალო საქონელბრუნვის გეგმა ხუთმა ვერ შეასრულა. მარტო ერთმა სოხუმმრეწვაჭრობამ მას 1756 ათასი მანეთი დააკლო. იმ ხუთი ჩამორჩენილიდან ამ უკანასკნელს მაინც რომ შეესრულებინა გეგმა, აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო საქონელბრუნვის დავალებას 625 ათასი მანეთით გადააჭარბებდა. მას კი საამისოდ 1131 ათასი მანეთი დააკლდა.

ასევე ჩამორჩა თბილისის ვაჭრობის სამმართველო, რომელმაც ამავე პერიოდის გეგმას 44,7 მილიონი მანეთი დააკლო. 34 დაქვემდებარებული სავაჭრო ორგანიზაციიდან საქონელბრუნვის გეგმა 16-მა, ანუ 47 პროცენტმა ვერ შეასრულა. აქედან მარტო თბილისმრეწვაჭრობამ გეგმას 10,7 მილიონი მანეთი დააკლო, თბილისტანსაცმელთაჭრობამ — 13,6 მილიონი ხოლო ცენტრალურმა უნივერმაღმა—11,1 მილიონი, სამივემ ერთად 35,4 მილიონი. ეს თანხა 79,4 პროცენტია იმ თანხისა, რომელიც სამმართველომ გეგმის შესრულებას დააკლო. ასეთ პირობებში სამმართველოს მიერ ვალდებულების შესრულებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ამ პერიოდის სოციალისტური ვალდებულებით კი საქონელბრუნვის მოცულობა 5,1 მილიონი მანეთით უნდა გაზრდილიყო.

ცხინვალის საზოგადოებრივი კვების ტრესტი საქონელბრუნვის გეგმას წელს სისტემატურად ვერ ასრულებდა, თხუთმეტი თვე 177 ათასი მანეთის დანაკლისით დასრულა.

აღინიშნულ სავაჭრო ორგანიზაციებში გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია კომერციული მუშაობის დაბალი დონით, უკონტროლობით. ისიც უნდა ითქვას, რომ ხელმძღვანელებს, რომელთა ობიექტებმაც გეგმა ვერ შეასრულეს, სათანადოდ არ სთხოვენ პასუხს.

მაგრამ მარტო სავაჭრო ორგანიზაციების ბრალი არ არის გეგმის შეუსრულებლობა. ამის მიზეზია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობა, სასაქონლო უზრუნველყოფის დარღვევა, ესეც იგი მრეწველობა სავაჭრო ქსელს ვერ აწვდის იმ რაოდენობისა და ასორტიმენტის საქონელს, რომელიც ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

მარტო ერთ მაგალითს მოგიყვანთ. წლეულდელ 10 თვეში სავაჭრო ორგანიზაციებმა ვერ მიიღეს 135 მილიონი მანეთის საქონელი. პროდუქციის ძირითადმა მიმწოდებლებმა — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაწარმოებმა ვაჭრობას 59 მილიონი მანეთის ნაწარმი დააკლეს, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა — 17 მილიონი მანეთისა.

დიდ სიძნელეებს ქმნის მრეწველობის მიერ გამოშვებული, არასტანდარტული, ცუდი ხარისხის საქონელი. ამ მიზეზით სავაჭრო ორგანიზაციებმა და ბაზებმა მიმდინარე წლის 10 თვეში ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმო გაერთიანებას უკან დაუბრუნეს მიწოდებული საქონლის 33,7 პროცენტი, ფოთის სამკერვალო ფაბრიკას— 79, ბოგდანოვკის სამკერვალო ფაბრიკას — 74,2 პროცენტი, ხოლო ადიგენისა და გურჯაანის საწარმოო კომბინატებს 100 პროცენტი, ესე იგი მიწოდებული საქონელი მწარმოებლებს მთლიანად უკან გაატანეს. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ასეთ პირობებში, ცხადია, სავაჭრო ორგანიზაციებს გაუჭირდებათ საქონელბრუნვის გეგმის შესრულება.

ერთ სამრეწველო კიროიოსაც გაგაცნობთ. ვაჭრობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკურ განყოფილებაში დევს მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომლის შინაარსიც ასეთია:

ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“ ხელმძღვანელობა გაცნობებთ, რომ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულების არადამაკმაყოფილებელი შესრულება გამოწვეულია, ჯერ ერთი, ძირითადი პროფესიის კვალიფიციური მუშების დიდი ნაკლებობის გამო, მეორე, ვერ ვასრულებთ ასორტიმენტის გეგმას.

სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულების მიზნით გაერთიანება ყურავს გეგმით გაუთვალისწინებელი კარის ნეილონის ფარდას, აბრეშუმის ბალიშის პირს, აბრეშუმის საბნის შალითას და სხვას, მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციები არ იღებენ ამ შეუკვეთავ საქონელს იმ მოტივით, რომ ძვირია. საწყობებში კი გვიგროვდება ნორმით გათვალისწინებულზე მეტი საქონლის მარაგი, რის შესამცირებლადაც იძულებული ვართ ვემუდაროთ სავაჭრო ორგანიზაციებსა და ბაზებს მიღოღნ გეგმით გაუთვალისწინებელი საქონელი.

დირექცია, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები განახორციელებენ სასწრაფო ღონისძიებებს შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად, — გვპირდება ბოლოს დირექცია. საბუთს ხელს აწერს გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე სარიშვილი.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. თუმცა ერთს ვინც მოგახსენებთ, გაერთიანება „გელათის“ კოლექტივს კარგი მეურნე ხელმძღვანელები რომ ჰყოლოდა, ასეთ დღეში არ ჩავარდებოდა.

ნ. ნორაკიძე.

თათბირმა მუშაობა დაამთავრა

ბიჯვინთაში დამთავრდა ახალგაზრდა ჟურნალისტთა ტრადიციული რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მოაწყვეს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირმა.

საინტერესო და მრავალფეროვანი იყო ახლანდელი შეკრების პროგრამა. მისი მონაწილეები — რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საქინფორმის ახალგაზრდა მუშაკები შეხვდნენ ახალი ამბების საგენტოს, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ თანამშრომლებს, ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების საკუთარ კორესპონდენტებს საქართველოს სს რესპუბლიკაში, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ მუშაკებს. მათ ნახეს და განიხილეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიისა და ალბერტ შვეიცერის სახელობის პრემიის ლაურეატის რეჟისორ გ. ჩუბაბრიას ფილმები „ჩვენ ქურთები ვართ“ და „ჩოგოვაძეების ოჯახი“, მონაწილეობა მიიღეს პროფესიული ოსტატობის კონკურსში.

(საქინფორმი).

თანამედროვე ადამიანი

ულ ერთი წელია, რაც თერჯოლის რაიონში გაიხსნა ნორჩ ნატურალისტთა სადგური, რომელსაც სათავეში უდგას რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ალექსანდრე ჯაფარიძე. სადგურს საქართველოს მინისტრთა საბჭომ 4 ჰექტარი მიწის ფართობი გამოუყო. ამ მცირე დროის მანძილზე ბევრი რამის გაკეთება შეძლეს ნორჩმა ნატურალისტებმა, რომლებიც სკოლაში მიღებულ თეორიულ ცოდნას იმდიდრებენ პრაქტიკული საქმიანობით, ატარებენ ცდებს, მუშაობენ ახალი ჯიშების გამოყვანისათვის.

ნორჩმა ნატურალისტებმა 1983 წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შეასრულეს. მათმა საქმიანობამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ხელმძღვანელობის მოწონება დაიმსახურა.

ნორჩმა ნატურალისტებმა სადგურში მოიყვანეს 9700 კილოგრამი სიმინდი, მრავალწლოვან მცენარეთა სანერგეში გამოიყვანეს 3600 ძირზე მეტი ნერგი, მიიღეს ბლომად ბოსტნეული. ახლა ისინი მიწის ნაკვეთს ამზადებენ მრავალწლოვანი ნარგავებისთვის. შეგროვილი აქვთ და უკვე მზად არის დასათესად 400 კილოგრამი მრავალწლოვან მცენარეთა თესლი, მათ შორის 23 კილოგრამი კაკალი, 37 კილოგრამი დაფნა, 37 კილოგრამი წაბლი და სხვა.

სანაქებოდ იშრომა წელს თერჯოლის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობამ. მათ დაამზადეს 19 ტონა ასკილი, 11 ტონა ანწლი, 14 ტონა უჯანგარი. ზაფხულის განმავლობაში 17 შრომა-დასვენების ბანაკმა და 16 ბრიგადამ, რომლებიც 1500 მოსწავლეს აერთიანებდა, შეასრულეს 39.800 მანეთის სამუშაო (გეგმით კი გათვალისწინებული იყო 27000 მანეთისა), სახელმწიფოს ჩააბარეს 1638 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. მათ გადაწყვეტილი აქვთ წლის ბოლომდე გზის პირას და ეროზირებულ ადგილებში დარგონ ნორჩ ნატურალისტთა სადგურში გამოყვანილი 2200 ძირი კაკლის ხე.

წელს რაიონის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებსა და შრომა-დასვენების ბანაკებში თავდადებული შრომით თავი ისახელეს თერჯოლის პირველი, ახალთერჯოლის, ზედა საზანოს საშუალო, ტყიბულპესის, ვარდიგორის 8-წლიანი და სხვა სკოლების მოსწავლეებმა, კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა.

კარგი და სასახელო საქმეებისათვის თერჯოლის ნორჩ ნატურალისტთა რაიონული სადგურის ბუნების ნორჩმა დამცველებმა ამას წინათ წერილი მიიღეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტიდან:

„ძვირფასო ბუნების ნორჩო ქომაგებო!

თქვენმა საქმიანობამ ჩვენი კოლექტივი გაახარა; ყველაფერი, რაც მოსაწყრეთ და გაკკეთეთ ამ მოკლე ხანში, გვაძლევს საბაბს, ვიფიქროთ, რომ თერჯოლის ნორჩ ნატურალისტთა რაიონული სადგური მალე ერთ-ერთი მოწინავეთაგანი გახდება რესპუბლიკაში“.

ალბათ, ახლა ამ ყმაწვილების მაგალითს მიბაძავენ თერჯოლის რაიონის სხვა სკოლების მოსწავლეებიც. ამ შემთხვევაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ რაიონულ გაზეთს „წინსვლას“ და ადგილობრივ რადიოს.

ვ. კუტალაძე.

„კომუნისტის“ კორ.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

მიღწეულს არ სჯერდებიან

ერთობ ცუდი კლიმატური პირობების მიუხედავად აბაშის რაიონის ველ-მინდვრებში ერთობლივი ძალებით ილუწიან წინა წლებში მოპოვებულის განმტკიცებისათვის, თავიანთი საფიქრალ-საზრუნავი აქვთ აქაურ მეცხოველეებსა და საკვებმომპოვებლებსაც.

მიმდინარე წლის ათ თვეში წარმოებულია გეგმით გათვალისწინებულზე მეტი ხორცი და რძე, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გაიზარდა პირუტყვის სულადობა, ნამატის მიღების მაჩვენებელი, სადღეამისო წონამატება, წველადობა. საგრძნობლად შემცირდა იძულებითი დაკვლისა და გაწყდომის შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მაჩვენებელი გასული წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულზე უკეთესია. უ

დიდი შეფასება

ნიუ-იორკი. თეთრი სახლის მილიტარისტული „მოწოდებები და პოლიტიკა, რომელსაც იგი ახორციელებს, მოწმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ხელმძღვანელობა ცდილობს მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას საბჭოთა კავშირთან შედარებით, განაცხადა საკლესიო კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა ა. ტომსონმა. სწორედ ამ მიზნებს, უწინარეს ყოვლისა, ისახავს ვაშინგტონი, რომელმაც დაიწყო ევროპაში ამერიკის ფრთოსანი რაკეტებისა და „პერშინგ-2“ ტიპის რაკეტების განლაგება. მათი გამოჩენა იწვევს ვითარების დესტაბილიზაციას კონტინენტზე, საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას.

ტომსონმა დიდი შეფასება მისცა ამ საკითხის გამო საბჭოთა კავშირის აწონ-დაწონილ და დასაბუთებულ პოზიციას, რომელიც დაწერილებით იყო ჩამოყალიბებული ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში. ეს განცხადება, ხაზი გაუსვა ტომსონმა, ახალი მკაფიო დადასტურებაა საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისა. ამერიკის მშვიდობის მომხრეთათვის ცხადია, რომ სწორედ ნატოს ქვეყნებს, შეერთებული შტატების მეთაურობით, მართებთ პირველებმა განახორციელონ ღონისძიებანი დაძაბულობის შენელებისათვის. ევროპის მიწა-წყალზე ფრთოსანი რაკეტებისა და „პერშინგ-2“ ტიპის რაკეტების განლაგება უნდა შეწყდეს. ევროპაში ჩატანილი სარაკეტო კომპონენტები, თქვა ტომსონმა, უნდა დაბრუნდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის, რომ რეგანის ადმინისტრაციას ჯიუტად არ სურს ეს, საფრთხეს უქმნის მშვიდობას არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ პლანეტაზე, ხაზი გაუსვა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა.

17 დეკემბერი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

სოციალისტურ ქვეყნებში

● ჩეხოსლოვაკია

უპირველესი ფეხპით

პრაღა. **მანქანათმშენებლობის სხვა დარგებთან შედარებით უპირატესი ტემპით ვითარდება ჩეხოსლოვაკიის ელექტროტექნიკური მრეწველობა.** ხუთწლედის მარტო პირველი ორი წლის მანძილზე პროდუქციის გამოშვება აქ 13 პროცენტითა და მეტად გაიზარდა. საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია ელექტრონიკის, კიბერნეტიკისა და რობოტტექნიკის შეოხებით ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა გახდა, რამდენადაც დღეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების საჭიროება.

ჩეხოსლოვაკიის ელექტროტექნიკურ მრეწველობას პროდუქციის წარმოებისათვის ახლა ესაჭიროება დაახლოებით 900 სახეობის მაკომპლექტებელი ნაწარმი. ძნელია ესოდენ ფართო ასორტიმენტს თავი გაართვას ერთი ქვეყნის საწარმოებმა. დახმარებას უწევს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია. დარგის საწარმოებს განსაკუთრებით ნაყოფიერი ურთიერთობა აქვთ სსრ კავშირის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტნიორებთან. ჩეხოსლოვაკიისა საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის კონკრეტული შედეგი გახდა, მაგალითად, ასინქრონული ელექტრომოტორები, რადიოლოკატორები, ელექტრომიკროსკოპები, სხვა მოწყობილობა. ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვნად ამცირებს წარმოებაში სამეცნიერო ტექნიკური ნამუშევრების დანერგვის ვადებს.

● რუმინეთი

რეკორდული გამომუშავება

ბუქარესტი. **თბოელექტროსადგური „დევას“ კოლექტივმა 13 დეკემბერს დაამყარა თბოელექტროსადგურის რეკორდი სადღეღამისო ელექტროენერგიის გამომუშავებაში: 26.160.000 კილოვატსაათი.** ყველა ენერგობლოკი ამ დღეს მუშაობდა მაქსიმალური დატვირთვით.

თბოელექტროსადგური „დევა“ ელექტროენერგეტიკული გაერთიანება „დევა-მინტიას“ მეთაური საწარმოა. გაერთიანებაში შედის ოთხი თბოელექტროსადგური. მათგან ორი ყველაზე დიდი აშენებულია სსრ კავშირის ტექნიკური დახმარებით. ელექტროსადგურის ძირითადი მოწყობილობა საბჭოური წარმოებისაა.

მიღწეული წარმატება მნიშვნელოვანწილად აიხსნება რუმინელი ენერგოტექნიკოსების, საბჭოთა ტექნიკის და ექსპლოატაციის მუშაბის მაღალი კვალიფიკაციით.

● კორეა

ქიმიის ახალმშენებლობა

ფხენიანი. **მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო სუნჩხონის ვინილონის ქარხნის სამშენებლო მოედანზე. აქ ააგებენ კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთ-ერთ უდიდეს ქიმიური მრეწველობის საწარმოს, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 100 ათას ტონა ხელოვნურ ბოჭკოს.**

ახლა რესპუბლიკის ქიმიკოსების წინაშე დასახულია ორი ძირითადი ამოცანა — გააფართოონ სოფლის მეურნეობისათვის სასუქების მიწოდება და მკვეთრად გაზარდონ შუბუქი მრეწველობის ნედლეულის წარმოება. ბოლო ხუთწლედში დარგის განვითარების ყოველწლიურმა ტემპმა 20 პროცენტს გადააჭარბა. მისი წილი მთლიანად სამრეწველო პროდუქციაში ახლა დაახლოებით 10 პროცენტს აღწევს.

ქიმიური ინდუსტრიის მიზანია მთავარი როლი შეასრულოს კორეის შრომის პარტიის VI ყრილობის მიერ დასახული გადაწყვეტილებების შესრულებაში.

● გფრ

წარადგინეს სარჩელი

ბონი. **დასავლეთ გერმანიის თვალსაჩინო მეცნიერთა, მათ შორის ფიზიკოსთა და იურისტთა ჯგუფმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოში წარადგინა სარჩელი** დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ნატოს თვალთვალისა და შეტყობინების ელექტრონული სისტემის განლაგების, აგრეთვე ამ განლაგებისათვის კოლ-გენშერის მთავრობის ხელშეწყობის „უკანონო და ანტიკონსტიტუციურ ხასიათთან“ დაკავშირებით. დოკუმენტის ავტორების აზრით, ამ სისტემის მუშაობის პროცესში შესაძლო შეცდომის შედეგი შეიძლება გახდეს ბირთვული ომის გაჩაღება, რომლის მსხვერპლი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაც გახდება.

ამერიკელ ოკუპანტთა თარეში

გრენადაში...

სენტ-ჯორჯესი-დან **მიღებული ცნობები მოწმობს, რომ ვითარება გრენადაში კვლავ უკიდურესად დაძაბულია, ამერიკის ოკუპაცია ყველგან და ყველაფერში იგრძნობა. ეს არის დედაქალაქისა და სხვა დასახლებული პუნქტების ქუჩებში ამერიკელი ჯარისკაცების პარპაში, მოსახლეობის რბევა და აბუნად აგდება, ბინებისა და ავტომანქანების მასობრივი ჩხრეკა, მრავალრიცხოვანი დაპატიმრებანი, კუნძულის მოსახლეობის ფსიქოლოგიური დამუშავება ღვარძლიანი ანტიკომუნისტური სულისკვეთებით.**

სურათზე (ზემოთ): ამერიკელი ოკუპანტი ჩხრეკს გამვლელს.

ლიბანში...

დაძაბული **ვითარებაა ლიბანშიც, რაც ამერიკისა და ისრაელის ავანტურისტულ მა პოლიტიკამ გამოიწვია. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა გაამარადისონ თავიანთი ყოფნა ამ სუვერენულ ქვეყანაში.**

სურათზე: ამერიკელი ჯარისკაცები ბეირუთში.

იუპი-საკდესის ფოტო.

ბრძოლა ოცნებისათვის

ჩრდილოეთ **და სამხრეთ ამერიკაში ამჟამად მცხოვრებ მსახიობთაგან, შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარული და საყვარელია გამოჩენილი კუბელი ბალერინა ალისია ალონსო. მისი განუყრელი კავშირი რევოლუციური კუბის ხალხთან ერთგვარად ხაზს უსვამს მის სიახლოვეს პლანეტის ყველა პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ადამიანთან.**

ამერიკელ კომუნისტთა გაზეთმა „დეილი უორლდმ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ალისია ალონსოსთან, რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ.

— **თქვენი აზრით, ნიჭის გარდა რა სჭირდება მსახიობს, რომ პოპულარული გახდეს?**

— თუ ტერმინს „პოპულარობას“ სრული პატივისცემით მოვეკიდებით და მასში „ხალხთან სიახლოვეს“ ვიგულისხმებთ, ეს ნიშნავს, რომ პოპულარული ხელოვნება არის ის, რომლისკენაც ყველა დიდი მსახიობი მიელტვის, რამეთუ ხალხი მხოლოდ ყოველივე საუკეთესოს ღირსია.

— **შეიძლება თუ არა ნიჭიერმა კაცმა თავისი ნიჭი დაღუპოს და რატომ ხდება ეს?**

— ნიჭი — ეს ნაზი ყვავილია, რომელსაც განვითარებისათვის სინათლე, სითბო და მრავალი სხვა კეთილსასურველი ფაქტორი სჭირდება. ამავე დროს სუსტმა თვითდისციპლინამ, სიზარმაცემ, ერთი სიტყვით, მანკიერმა ხასიათმა შეიძლება დიდი იმედის მომცემი ნიჭიც კი ჩაკლას. არის შემთხვევები, როცა იმათ, რომლებზეც ახალგაზრდობაში დიდ იმედს ამყარებდნენ, საბოლოოდ ვერაფრისთვის ვერ მიუღწევიათ ცხოვრებაში. ჩემი აზრით, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ეფერდეს ეს, მოჭარბებული ბუნებრივი მონაცემები ხშირად იწვევს იმას, რომ ადამიანები ვერ გრძნობენ თავდადებული შრომის, თავისი ოცნებისათვის ბრძოლის აუცილებლობას და ამით კარგავენ მთელი თავიანთი ნიჭისა და უნარის გამოვლენის შესაძლებლობას. და პირიქით, შრომა, ნებისყოფა, შეუპოვრობა, გატაცება სასწაულებს ახდენს.

ყველაზე დამღუპველი მსახიობისათვის, ნიჭისათვის თვითდამშეიდებაა.

— **რა მიგაჩნიათ ყველაზე ბუნებრივ შედეგრად?**

— სიცოცხლე მთელი თავისი მრავალფეროვნებით, მრავალრიცხოვანი ფორმებითა და გამოვლინებებით.

— **რას აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?**

— პატიოსნებას.

— **რა გძულთ ყველაზე მეტად ამ ქვეყნად?**

— სიცრუე.

— **რა არის თქვენი ცხოვრების დევიზი?**

— ამაზე სპეციალურად არ დავფიქრებულვარ, მაგრამ, მაინც შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი პასუხი ორ წინა პასუხთან იქნება დაკავშირებული.

— **თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— ცხადია, ცეკვა.

— **დასვენების საათებში?**

— წიგნები, კინო.

— **თქვენი ბედნიერების იდეალი?**

— ეს იგივეა, რაც ჩემი ცხოვრების აზრი: შეგეძლოს სარგებლობის მოტანა.

— **ყველაზე საძრახისი საქციელი?**

— ღალატი.

— **რას სცემთ ყველაზე მეტად პატივს?**

— შრომას კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

— **თქვენი ყველაზე დიდი იმედი?**

— მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

— **როგორ გესახებათ კაცობრიობის მომავალი?**

— მე ოპტიმისტი ვარ, მწამს მისი უკეთესი მომავალი.

— **რამ მოახდინა თქვენზე ჭოლო წლებში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

— ვიეტნამელი ხალხის გმირულმა გამარჯვებამ.

— **როგორ გესმით სიყვარული?**

— ამ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით — ეს არის იმისათვის მზადყოფნა, რომ უანგაროდ დანდო თავი სხვისთვის და მისგან საზღაურს არ მოელოდე. ასე მესმის სიყვარული ადამიანებს შორის, სიყვარული კაცობრიობისადმი, სიყვარული მეგობრისადმი.

— **ყველაზე უფრო რა გაღელვებთ?**

— ადამიანის ტანჯვა.

— **რა აღგაფრთოვანებთ?**

— ადამიანის გენიის მიღწევები.

— **რატომ გახდით მსახიობი?**

— ჯერ კიდევ ბავშვობაში ცეკვის მეტი ჩემთვის არაფერი არსებობდა. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი სიყვარული. როცა ვცეკვავ უსაზღვრო ნეტარებას განვიცდი. მინდა ცეკვაში ჩავაქსოვო ყოველივე, რისი უნარიც შემწევს.

● დანია

მთავრობის კრიზისი

კოპენჰაგენი. დანიაში იფეთქა მთავრობის კრიზისმა: ფოლკეტინგმა (პარლამენტი) მტკიცედ უარყო პ. შლიუტერის ბურჟუაზიული კოალიციური მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიზანია განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო მშენებლობის, სოციალური უზრუნველყოფის ასიგნებათა შემდგომი შემცირება. დეპუტატებმა უარყვეს უმცირესობის კაბინეტის მიერ შემუშავებული 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის მშრომელთა ხარჯზე ქვეყნის რთული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. მრავალსაათიანი ცხარე კამათის მონაწილე დეპუტატები ოპოზიციური პარტიებისაგან, აღნიშნავდ ნ ე ნ, რომ მისი მიღება გამოიწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომ დაქვეითებას, სიძვირეს, სოციალური კონფლიქტების გამწვავებას, უმუშევართა არმიის გაზრდას, რომელიც ამჟამად 300 ათასზე მეტ კაცს შეადგენს.

ამგვარად, დანიაში უდიდესმა პარტიამ — სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და სხვა ოპოზიციურმა ძალებმა მმართველ კაბინეტს მოუსპეს პარლამენტის მხარდაჭერა, რამაც გამოიწვია მთავრობის კრიზისი. დანიის დედოფალმა მარგარეტ მეორემ ხელი მოაწერა დეკრეტს ფოლკეტინგის დათხოვნისა და მომავალი წლის 10 იანვრისათვის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების მოწყობის შესახებ. ამ ვადამდე ახლანდელი მთავრობა განაგრძობს თავისი მოვალეობის შესრულებას.

ტექნიკა

ფერადი ასფალტი

ტოკიო. ავტოტრანსპორტით გაჭედილი იაპონიის ქუჩები სულ უფრო საშიში ხდება მძღოლებისა და ქვეითებისათვის, ამა წლის 11 თვეში ავტოავარიების შედეგად იაპონიაში 9 ათასამდე კაცი დაიღუპა.

სპეციალისტები ამ სავალალო სტატისტიკის შესამცირებლ ა დ სხვადასხვა ღონისძიებებს ვარაუდობენ. მათი აზრით, ავტოავარიები და კატასტროფები, უწინარეს ყოვლისა, მძღოლთა უყურადღებობის გამო ხდება, და წინადადებას აყენებენ მათი სიფხიზლე გააძლიერონ ავტომაგისტრალების უჩვეულო გაფორმებით.

ამ პრობლემის გადაწყვეტას ხელი მოჰკიდა „ფუჟი კოსანის“ კომპანიამ, რომელმაც წამოაყენა ფერადი ასფალტის დამზადების იდეა. ახალი საგზაო საფარველის გამოყენება ნავარაუდევია გზაჯვარედინებზე, საბავშვო დაწესებულებებთან და იმ ადგილებში, სადაც ყველაზე ხშირად ხდება ავტოავარიები.

როგორც კომპანიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, ფერადი ასფალტი, რომელიც ჩვეულებრივზე მხოლოდ 10 პროცენტით ძვირი ჯდება, ქუჩებს არათუ უფრო უსაფრთხოს გახდის, არამედ გაალამაზებს კიდეც. ახლა სპეციალისტები მუშაობენ იმ ფერების დადგენაზე, რომლებიც მძღოლების ყურადღებას მიიპყრობს და ამასთან ხელს არ შეუშლის მართვაში.

დაძაბულობის ანატომია

საერთაშორისო შენიშვნები

ცხოვრების კლიმატი. რასაკვირველია, მაშინაც კი, როდესაც საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და მაშინაც, როდესაც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების სხივმა ანტიკომუნიზმის თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში შეაღწია, ცხადი იყო, რომ ორ მოწინააღმდეგ სისტემას შორის იდეოლოგიური მეტოქეობა კვლავაც დარჩებოდა.

ამავე დროს საბჭოთა კავშირი და მთელი სოციალისტური ბანაკი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა იდეოლოგიური წინააღმდეგობანი მსოფლიოში მშვიდობის სახიფათო ალტერნატივად არ ქცეულიყო, ხელი არ შეეშალა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთხელსაყრელი, საქმიანი კონტაქტებისა და თანამშრომლობისათვის. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 70-იანი წლების დასაწყელ (მთ შორის ამერიკელ) პოლიტიკურ ლიდერთა უმრავლესობა თითქმის ანალოგიურ პოზიციებზე იდგა და ამან ხელი შეუწყო დაძაბულობის შენელების პროცესის წარმატებას.

ამჟამად კი, დასავლელ სპეციალისტთა აზრით, 80-იანი წლების დამდეგიდან დაწყებული მთელ კაპიტალისტურ სამყაროში იგრძნობა პოლიტიკური ბარომეტრის მარჯვნივ გადახრა. მიზეზი? თითქოსდა დასავლეთის ბანაკმა შეიგნო, რომ დაძაბულობის შენელება მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის არის ხელსაყრელი და, ამრიგად, იხილა დღის სინათლე მითმა „ცალმხრივი მოძრაობის“ ქუჩის თაობაზე.

ყოველივე ზემოხსენებული უკვე აისახა საერთაშორისო ურთიერთობათა ქრონიკებში. დღეს აღარც ის წარმოთვალვნელ ამოუცნობ განტოლებას, თუ რატომ აღიმაღლა ხმა დაძაბულობის შენელების კურსის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა ელიტამ. შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ სწორედ მორიგი არჩევნების წინა კამპანიის დაწყების პერიოდში „გაახსენდა“ იმდროინდელ პრეზიდენტ ფორდს, რომ „დეტანტი“ (დაძაბულობის შენელება) ფრანგული წარმოშობის ტერმინი ყოფილა და „ცუდად ეგუება“ ინგლისურ ენას. როგორც ცნობილია, მშობლიური ენისადმი „პატრიოტზმმა“ ფორდს ვერ უშველა და ბუნებრივად იბადება კითხვა — რამდენად კანონზომიერი იყო 1980 წლის ნოემბერში პრეზიდენტობის ქრონიკულად უიღბლო მაძიებლის, ამერიკული სტანდარტებით უკვე „ჩამოწერილი“, პროვინციული მასშტაბის არაპროფესიონალი „პოლიტიკოსის“ გამარჯვება?

ამერიკის ორმოცსავე პრეზიდენტს მრავალი ბიოგრაფი ჰყავდათ და ჰყავთ, მეტ-ნაკლები ობიექტურობით დადგენილია თითოეული მათგანის პირადი თვისებები, სუსტი და ძლიერი მხარეები. რეგანის ბიოგრაფები ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როდესაც მის „ძლიერ მხარეთა“ ძებნას შეუდგნენ და გარდა პათოლოგიური ანტიკომუნიზმისა არაფერი აღმოჩნდა აქტივში შესატანი. პრეზიდენტის უკანასკნელი ბიოგრაფის ლემერის მტკიცებით, „რონი“ გვარიანად ზარმაცია, დღეში სამ საათზე მეტი მუშაობა მისთვის „ფიზიკურად და მორალურად“ აუტანელია, არასოდეს კითხულობს ბოლომდე თანშემწეების მიერ მომზადებულ მოხსენებითს ბარათებს. სამაგიეროდ საჭირო მომენტში შეუძლია ეფექტურად წაიკითხოს მორიგი „შპარგალკა“. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი და მწერლის ვიდალის აზრით, ამ „შპარგალკების“ ზარმაც პრეზიდენტს ისინი უდგენენ, ვისაც სურს „რაც შეიძლება მალე ჩაგვაბას“ ომში. მაშ, რატომ მაინცდამაინც რეიგანზე შეაჩერეს თავისი არჩევანი იმათ, ვინც პრეზიდენტებს „ირჩევს“? ვინ იყო ის 41 მდიდარი ამერიკელი, რომლებმაც 1965 წლის გაზაფხულზე დააარსეს „რონალდ რეიგანის მეგობრების კომიტეტი“? ან რატომ დასჭირდათ მათ მთელი 15 წელიწადი, რათა ოვალურ კაბინეტში ეხილათ თავიანთი პროტეჟე? ძნელია, თითქმის შეუძლებელია ამ კითხვებზე ერთმნიშვნელიანი პასუხის გაცემა. ფაქტია, რომ რეიგანის მფარველ-ანგელოზთა უმრავლესობის ფინანსური ინტერესები სამხედრო ბიზნესთან არის დაკავშირებული, მაგრამ განა ოცდამეცხრამეტე პრეზიდენტის მმართველობის დასასრულს უკვე მკვეთრად არ გამოიკვეთა მებრძოლი ანტისაბჭოურობის უკიდურესი კომპონენტები? კარტერი სულ უფრო და უფრო დაუფარავად იხრებოდა მარჯვნივ, მაგრამ რეიგანამდე მაინც საკმაოდ დიდი დისტანცია რჩებოდა. საერთაშორისო დაძაბულობის კარტერისეული მასშტაბები უკვე აღარ აკმაყოფილებდათ ქვეყნის „მამებს“.

ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც იარაღისათვის ხელის წავლება არავითარ ფორმალურ დასაბუთება-გამართლებას არ საჭიროებდა. უკვე საკმარისი აღარ არის ცნობილი ორსტაყვიანი ფრაზა — „მივდივარ სალაშქროდ“. თვით ერთი ციცქნა გრენადაზე შესაჭრელადაც კი (უფრო სწორად, შეჭრის გასამართლებლად) საჭიროა დაძაბული პროპაგანდისტული კამპანია, მითური ფაქტების შეთითხნა და სინამდვილის გაყალბება. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც თეთრ სახლში „სახალხო დიპლომატია“ უწოდეს.

ამგვარი „დიპლომატიის“ მთელი „სიკეთე“ არაორაზროვნად არის მოცემული ამბანაგ ი. ვ. ანდროპოვის 25 ნოემბრის განცხადებაში, სადაც აღნიშნულია, რომ სწორედ ასეთმა კურსმა განაპირობა დღევანდელი უაღრესად დაძაბული და სახიფათო საერთაშორისო კლიმატი. დღეს თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში „წუხილს“ გამოთქვამენ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურის განცხადების „მკაცრი“ ტონის, სპასუხო ღონისძიებების გამო, მაგრამ ამავე დროს ჟურნალისტები და სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ, როგორც ვაშინგტონში, ისე დასავლეთ ევროპის დედაქალაქებში უნდა სცოდნოდათ (და ალბათ იცოდნენ კიდეც), რომ საბჭოთა მხარე არავითარ შემთხვევაში არ დატოვებდა უპასუხოდ იგივე დასავლეთ ევროპაში ახალი თაობის ამერიკული რაკეტების გამოჩენას, სტრატეგიული ბალანსის დარღვევას. წინასწარ იცოდნენ და მაინც გადადგეს ასეთი, შეიძლება ითქვას, საბედისწერო ნაბიჯი? როგორც ჩანს, პენტაგონის ანალიტიკოსები ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ დასავლეთ ევროპაში დაძაბულობის შემდგომი გამწვავება „უსაფრთხოების“ თავისებურ გარანტად იქცევა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. თუ პენტაგონში, თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში ჯერ კიდევ მთლიანად არ დაუკარგავთ არსებული სინამდვილის გაგების უნარი, საბჭოთა ხელმძღვანელის ბოლო განცხადებამ ასეთი ილუზიები ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოსპოს.

დღეს დასავლეთში ზემოხსენებულ განცხადებას იმიტომაც უწოდებენ განსაკუთრებული საფრთხისა და მისი წევრი ქვეყნების პოლიტიკური ლიდერებისაგან იგი ზედმიწევნით სერიოზულ გაანალიზებას და რეალისტურ დასკვნების გამოტანას მოითხოვს. რასაკვირველია, თეორიულად არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ისიც შესაძლებელია, რომ უკვე ცნობილი საბჭოთა ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, როდესაც აღდგება ბირთვული პარიტეტი (ცხადია, დღევანდელთან შედარებით გაცილებით მაღალ დონეზე), საბჭოთა და ამერიკელი დიპლომატები კვლავ დაბრუნდებიან ჟენევაში და მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდებაო. ასეც მსჯელობენ დღეს ვაშინგტონში, ბონსა და ლონდონში, მაგრამ ისეთ საკითხში, როგორიც არის მესამე მსოფლიო ომის საფრთხე, შეუწყნარებელი და საშიშია ბირთვულ-რაკეტული ჰიპოთეზებით ჟონგლიორობა საზოგადოებრიობის დამშვიდების, უფროს სწორედ, მისი სიფხიზლის მოდუნების მიზნით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მრავალჯერ დაძაბულა საერთაშორისო კლიმატი ვაშინგტონისა და ნატოს წყალობით. წარსულის მოვლენათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ყოველ დაძაბულობას რეალური პოლიტიკური თუ სხვა სახის დივიდენდები მოჰქონდა გარკვეული წრეებისათვის. ისე, „სპორტული ინტერესის“ გამო, არასოდეს ცდილა იმპერიალიზმი ომის ფსიქოზის ესკალაციას. მეორე მხრივ, რაც უფრო საშიშ ფორმებს იღებს ცეცხლთან თამაში, რაც უფრო რეალურ არსს იძენს ბირთვული კატასტროფის პერსპექტივა და რაც უფრო მეტ დილეტანტსა თუ ანტისაბჭოთა ჟინს აყოლილ პოლიტიკურ მანიაკს მიუწვდება თითი საბედისწერო ღილაკზე, მით უფრო რელიეფურად იგრძნობა დასავლეთში და, კერძოდ, თვით ნატოს წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ელიტაში პოლარიზაციის პროცესი.

საილუსტრაციოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ავიღოთ. მმართველ და ოპოზიციურ პარტიათა შორის უთანხმოება (ხშირად უფრო მოჩვენებითი, ვიდრე რეალური) ჩვეულებრივი მოვლენაა ბურჟუაზიული საპარლამენტო სისტემებისათვის და მხოლოდ ამ ფაქტიდან გამომდინარე რაიმე კრიზისზე ლაპარაკი სასურველის სინამდვილედ მიჩნევა იქნებოდა. დღეს კი, 1955 წლის შემდეგ, ქვეყანა პირველად აღმოჩნდა ორ ბანაკად გათიშული ისეთ ფუძემდებელ საკითხში, როგორიც ეროვნული უშიშროების საკითხია.

საქმე ის არის, რომ დასავლეთგერმანელმა გამოცდილმა პოლიტიკოსებმაც კი რეალისტურად შეაფასეს სიტუაცია, რომელიც დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებას მოჰყვება. მართალია, ბრანდტს, შმიდტს, ფოგელს, ბარს თუ ოპოზიციის სხვა ცნობილ მოღვაწეებს არ შეუცვლიათ ბოლო წლებში თავიანთი პოლიტიკური მრწამსი და ისინი კვლავაც კაპიტალისტური პოლიტიკური სისტემის პროდუქტად დარჩებიან, მაგრამ ერთი რამ მათთვის ცხადია, რომ, როგორც იგივე ბრანდტმა ამ დღეებში ერთ-ერთ თავის საჯარო განცხადებაში აღნშნა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან პირველად იქმნება ახალი მსოფლიო ომის საფრთხე გგრმანიის მხრიდან. ამას კი ჯერ არ მოუტანია სიკეთე გერმანელი ხალხისათვის.

აქვს თუ არა საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების პროცესს თავისი კრიზისული ზღვარი, რომლის მიღმაც უკვე ბირთვული კონფლიქტია? არ შეიძლება მსოფლიოს ორი წამყვანი სახელმწიფოს ურთიერთობაში „ნორმად“ დამკვიდრდეს კონფრონტაცია, დაძაბულობა და ამან სერიოზული საფრთხე არ შეუქმნას მშვიდობას.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, უკვე აგონიის პირას მისულ კაიზერს მიაწერენ ასეთ ფრაზას: „თუ მტერს არ სურს მშვიდობა, ჩვენ რკინის მუშტითა და ცეცხლის მახვილით უნდა გავანადგუროთ იმათი სახლ-კარი, ვინც მშვიდობის წინააღმდეგია, და მშვიდობა უნდა მოვუტანოთ მთელ მსოფლიოს“. ასეთი გზით ხომ არ სურს ვაშინგტონის დღევანდელ ადმინისტრაციასაც „მშვიდობა მოუტანოს“ მთელ მსოფლიოს?

დღეს მშვიდობას საკმაოდ კვალიფიციური და მძლავრი დამცველები ჰყავს. ერთი მხრივ, ამერიკის იმპერიალიზმი აათკეცებს საერთაშორისო დაძაბულობას, მაგრამ ამავე დროს ასკეცდება იმათი ენერგია და რწმენაც, ვინც ცხოვრების ამოცანად მშვიდობის შენარჩუნებას სახავს. სულ უფრო მეტი რიგითი ადამიანი სწვდება დღეს დაძაბულობის ანატომიის არსს და რეალურ საფრთხეს. არაპროფესიონალი პოლიტიკოსისათვისაც კი საკმარისია ერთ დღეს დააკვირდეს პლანეტის მაჯისცემას, რომ ამაში დარწმუნდეს.

ს. ციწცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

„ამომწურავი“ ახსნა-განმარტება

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ რიჩარდ კოპენის ფელეტონი, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ მცირეოდენი შემცირებით.

პატივცემულო ბატონო ან ქალბატონო! (საჭიროებისამებრ გაუსვით ხაზი).

პრეზიდენტმა მთხოვა პასუხი გამეცა თქვენს წერილზე ამერიკის ჯარების გრენადაში შეჭრასთან დაკავშირებით. ამის თაობაზე ამჟამად მრავალრიცხოვან კითხვას იძლევიან და ჩვენს მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მათზე პასუხის გაცემა.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო მძევლების საკითხი. მართალია, ჩვენ არავითარი დამაჯერებელი ფაქტები არ გვქონდა, რომ გრენადაში ამერიკელთა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ დაუყოვნებლივ გვემოქმედა.

ყველასათვის ცხადია, გრენადას რომ რაიმე სცოდნოდა ამ ქვეყანაში შეჭრისათვის ჩვენი მზადების შესახებ, იგი აუცილებლად ხელში ჩაიგდებდა ამერიკელ მძევლებს. დი მუხეიდავად იმისა, რომ ჩვენი ოპერაცია მიზნად ისახავდა მათი ხელში ჩაგდების თავიდან აცილებას, საზღვარო ქვეითი ჯარისკაცების გადასხდომის შემდეგაც ასეთი აქციის განხორციელების საშიროება არ აღმოფხვრილა. მოგგიტევეთ, რომ ეს არცთუ მოლად გასაგებად ჟღერს, მაგრამ ახლა თქვენთვის ნათელი გახდება, თუ მაინც რატომ გადავწყვიტეთ გვემოქმედა.

გრენადაში ექვსასამდე ამერიკელი მედიკოსი სტუდენტი სწავლობდა. მათი სიცოცხლე საფრთხეში იყო. მართალია, ვერც სტუდენტები, ვერც მათი მშობლები, ვერც პროფესორები ამ საფრთხეს ვერ ხედავდნენ, ხოლო გრენადა უზრუნველყოფდა სტუდენტთა ხელშეუხებლობას. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ საქმის არსს ეს ვერ ცვლის.

მთავარია გავითვალისწინოთ, რომ ამერიკის ჯარები გრენადაში ისე, ტყუილუბრალოდ კი არ შეჭრილან, არამედ კარიბის აუზის ზოგიერთი ქვეყნის თხოვნით. ჩვენს მთავრობას კარგად ესმის, რომ ამ სახელმწიფოებს არ ჰქონდათ უფლება ასეთი თხოვნით მოემართათ ჩვენთვის — ეს იგიკეა, რომ ვინმე სხვის ოჯახში მიიპატიჟო სახლის პატრონის დაუკითხავად. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ქვეყნები ჩვენთვის ახლობლები არიან, მათ უყვართ მხიარული მუსიკა, ლაპარაკობენ თავშესაქცევი აქცენტით და ისევე როგორც ჩვენ, მათაც არ უყვართ გრენადა — შეგნებულად თუ შეუგნებლ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲡᲐᲥᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲐᲯᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ

ᲖᲢᲠᲘᲮᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ პოეზიის ღონიერმა და ფესვმაგარმა რტომ არა ერთი პოეტური ნიჭი დაიმყნო და ახარა. ერთი პოეტის ობოლი მარგალიტივით წამოტივტივებები ყველა დროსა და ყოველ ხალხს შეუძლია, მაგრამ ათეული საუკუნეების მანძილზე ჭეშმარიტი პოეზიის მანათობელი ჩირაღდნის ტარება ყველას როდი ძალუძს. ქართველმა ხალხმა ეს შეძლო და პოეზიისადმი ერთგულება თავისი ეროვნული მეობის ერთ-ერთ წიბოდ გაიხადა. და გაიხადა იმიტომ, რომ ყოველ დროში, მაშინაც, როცა უჭირდა და მაშინაც, როცა ულხინდა, არ გამოლევია ალალი პოეტური სულით ანთებული მგოსნები.

ასეა ახლაც. ქართული პოეზიის ცისკიდურზე დღესაც არაერთი შემოქმედი ბრწყინავს, ურთიერთგანსხვავებული, შუქია ნი, მადლმოსილი და ხვავრიელი.

ერთი მათგანი შოთა ნიშნიანიძეა, პოეტი მაღალი, პოეტი შთაგონებული, პოეტი წინმსწრაფი აზრისა და მგზნებარე გულისა. იგი ერთი იმ ხალას შემოქმედთაგანია, ვინც განსაკუთრებით სრულად განასახიერებს თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის მაღალ რაობასა და უმრეტელობას.

უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც შ. ნიშნიანიძე ქართველ პოეტთა რაზმეულში ზდგა. განვლილი 25 წელი დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომის, პოეტური ზვნის, ერთგული გარჯისა და რუდუნების წლებია. ამ წლებს უკვალოდ და უბრალოდ არ ჩაუვლია, მათ თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი თავკაცი გამოზარდეს. დღეს შ. ნიშნიანიძე ქართული საბჭოთა მწერლობის ერთი უმტკიცესი და სიმიედო ბურჯია, ხოლო მისი ღოხეერი მემკვიდრეობა — თანამედროვეობის მძაფრი გრძნობით გაჟღენთილი, ძირმაგარი და ხვავრიელი — ამდიდრებს და ავრცობს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას.

შ. ნიშნიანიძის ლირიკაში ავტორის მეობა შესაშური გამოკვეთილობით ვლინდება. ამის ნიმუშად შეიძლება, თუნდაც მისი მაღალი მორალური ეტალონის მქადაგებელი ლექსი „თანამედროვე ცეცხლთაყვანისცემელი“ მივიჩნიოთ. სიმართლის მიგნების, სიმართლის თქმის სანატრელითნი არის გაჟღენთილი „ბევრი და ერთი“, უკომპრომისობისა და პრინციპულობის ამოლოგიაა „ბარიერთან“ და არაერთი სხვა. პოეტის ჰუმანისტური იდეალი ისე მკაფიოდ ვლინდება მის ლექსებში, როგორც იმ სტროფში, რომელიც ისევე შორსაა დიდაქტიკისგან, როგორც არაგულწრფელობისგან:

„ᲙᲐᲪᲝ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲚᲔᲕ
ᲣᲤᲚᲐᲓ,
ᲕᲘᲚᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲧᲐᲕᲘ ᲛᲘᲩᲘᲜᲔᲚᲐᲓ,
ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ
ᲣᲤᲠᲘᲡ,
ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲕᲘᲚᲐᲪᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ
ᲨᲔᲚᲔᲡ“.

შოთა ნიშნიანიძე მაღალი შთაგონების პოეტია. კითხულობ მის ლექსებს და გიხარია პოეტის ალმაფრენა, ძვალ-რბილში გაჟღერი ეროვნულობა, ფესვმაგარი იდეომატიკა, ხალხური ძარღვიანობა, საოცრად მდიდარი წარმოსახვა. სწორედ ასე აღიქმევა მისი შესანიშნავი ლექსები: „როცა მე გარდავიცვალე“, „ცარიზმის უკანასკნელი დღე“, „ქართული ლაშქრის სიმღერა“, „ბევრი ლოცულობს“, „გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბიჭები“, „ბალადა კაპიტანზე“, „მე ვარ მისანი ხარი წიქარა“ და ბევრი, ბევრი სხვა.

ახლა ხშირად შეხვდებით ოდიოზურ გამოთქმას — „პატრიოტული თემა“. თუ პოეტისათვის პატრიოტიზმი მხოლოდ თემაა და მეტი არაფერი, იგი არც პატრიოტი ყოფილა და არც ჭეშმარიტი პოეტი, პატრიტიზმი თემა კი არ არის, ლექსის სიცოცხლეა, მისი სახეა, მისი ლოცვა და ღაღადისია. ლექსს ორი რამ ასულდგმულებს; პოეტურობა და პატრიოტიზმი. და შოთა ნიშნიანიძის ძარღვმაგარ, მამულიშვილურ პოეზიაშიც სწორედ ასეა.

პოეტის სანატრელი ის არის, რომ მომავალი თაობები ისეთივე გაკაჟებული სულის მატარებელნი ყოფილიყნენ, როგორც **„ᲮᲠᲔ ᲕᲐᲠ ᲤᲘᲠᲐᲒᲓᲐ ᲛᲭᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲑᲐᲪᲗᲐ“.** სარკაზმამდე მისული ირონიის მაგალითია მისი „ერთ დროს დიდკაცის ჰუდელი“, „ლოთების სიმღერა“, „ეშმას ჩივილი“, „იუბილარი“, „უჩინმაჩინიც რომ ვიყო“ და არა ერთი სხვა.

პოეტის ბასრი მზერა რეალურ ზნეობრივ საფრთხეს ისე მკვეთრად წარმოაჩენს, რომ გიკვირს კიდეც, აქამდე როგორ შეპატარავებოდა და თურმე რა დიდი ყოფილაო. დიახ, პოეზიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს უნარი ცუდად დანახულის, ნაკლებად გაგებულის, არასწორად შეფასებულის, ბოლომდე გაუაზრებელის — უკეთ, სწორად ჩვენებისა, მართებულად შეფასებისა, ღრმად გააზრებისა.

შ. ნიშნიანიძეს არა აქვს შინაარსისგან დაცლილი, მხოლოდ ჰანგით შემოფარგლული, მხოლოდ „წამღერებული“ ლექსი. ზომით პატარა მის ლექსებსაც კი თავისი „სიუჟეტი“, თავისი სათქმელი, თავისი შინაარსობრივი დატვირთულობა, თავისი ქვეტექსტურობა მოსდგამს. სულ ორი სტროფით ახერხებს იგი მკითხველის ჩაფიქრებას ადამიანურ ბედსა თუ ცხოვრებისეულ უსამართლობაზე, რომლისგანაც ვერც ერთი დღესდღეობით არგაზრდის საშუალებაა. მაგრამ მგოსნის გუნებაცვლადობა პოეტური სულის ცუდუბრალო მერყეობად კი არ აღიქმება, არამედ იმ მაიმპულსირებელ ძალად, რომელიც განაპირობებს სხვადასხვა ტონალობის, მიზანდასახულობის, იდეის, თემის, ჟანრული ფორმის ლექსის წარმოშობას. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მხარეა შ. ნიშნიანიძის პოეზიისა, რამდენადაც ჩვენს დროში საკმაოდ მოჭარბდნენ პოეტები, რომლებიც სრულიად სხვადასხვა განწყობილების ლექსს ერთი და იგივე მეტრით, რიტმით, ხერხით, სტილური სახით ქმნიან და ყველა შემთხვევაში ერთხელ აჩენ�ფორმას იყენებენ. პოეტური გამომსახველობის ერთფეროვნება (მას რა აქვს არაფერი საერთო სტილურ სტანდარტებთან, რაც იხდივიდუალურ ხელწერას აპირობებს) შესაძლოა რამდენადმე უკეთ აეაკრავებს ინდივიდუალურ საწყისს, მაგრამ ჭარბი მონოტონურობა ემოციური ზემოქმედების შესუსტებას იწვევს.

შ. ნიშნიანიძის შემოქმედების მაგალითზე კიდევ ერთხელ ცნაურდება ერთადერთი სწორი თვალსაზრისი სტილური და ჟანრული პოეტური ფორმების შერჩევაზე. ისინი უპირველესად და უპირველად არ ეტანება ყველა მათგანს.

შ. ნიშნიანიძე ტრადიციული რითმიანი ლექსის ერთგული მიმდევარია. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ ახლა ფრიად მომრავლდნენ პოეტები და მათი შეღავათიანი შემფასებლები, რომლებსაც საკუთარი ლექსალური სისუტისა გამო ეროვნული პოეტური ტრადიციები შემბორკავ არტახებად მიაჩნიათ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შ. ნიშნიანიძის მებრძოლი პოეტური პუბლიცისტიკა. ბოლო პერიოდში, ჩვენი მოწონავე პოეტების წყალობით, ასეთი ხასიათის ლექსებმა აქ აუცილებელს, და ჭმედით ეანრულ ფორმას მეტი გარკვეულობა მისცეს, ასპარეზი გაუფართოვეს. შ. ნიშნიანიძემ ქართულ პოეტურ პუბლიცისტიკას არაერთი მგზნებარე პოეტური ნიმუში შესძინა. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მისი ბრწყინვალე ლექსი „კომუნისტები“. პუბლიცისტური ნაკადი შ. ნიშნიანიძის შემოქმედებაში კი არ აკნინებს მისი პოეზიის მხატვრულ მხარეს, კი არ ამცირებს ფორმირებულ ღირსებებს, არამედ ჰირიქით, მაღალ პოეტურ ნიმუშებში პუბლიცისტური ელემენტების გაზრებული შეტანა ლექსს სუნთქვას უძლიერებს, ღონეს მატებს.

მშობელი ხალხის სიდიადითა და უკვდავებით, მისი კეთილშობილებითა და მოუღალობით შთაგონებული, თანამედროვეთა გმირობითა და გარჯილობით აღფრთოვანებული შ. ნიშნიანიძის შემოქმედება თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის გულუხვი და ღონიერი შენაკადია. მრავალფეროვან მასალაზე, ხალას გრძნობებსა და მდიდარ ასოციაციებზე ამოყლორტილი მისი ლექსალური ნიმუშები — დახვწილი, შთაგონებული, ეროვნულობითა და ხალხურობით გაპოხიერებული — აფაროთვებენ თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის თვალსაწიერს, გვიძლიერებენ საგნებსა და მოვლენებში უკეთ წვდომის უნარს, უფრო ღრმად განგვაცდევინებენ წარსულს, უფრო მჭიდროდ გვაკავშირებენ მომავალთან, ამიტომ უყვარს, ამიტომ აფასებს ჩვენს სახელოვან პოეტს არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ საბჭოეთის მრავალეროვანი და მრავალრიცხოვანი მკითხველი საზოგადოებრიობაც.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ.
ᲨᲔᲣᲠᲗᲐᲕᲐᲠᲘ.
Ა. ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ᲯᲐᲮᲘᲚᲘ

I

რა გალეკულს და ფერწასულს გხედავ,
ჩემო პაწია, ცოდვილო დედა.
ვაიმე, როცა შენს გულთან მჭრიდნენ,
რაიმე ხომ არ გატკინე ნეტა.

არ შეგეშინდეს, შვილი ვარ შენი,
შენი ტანჯული სისხლი და ხორცი,
ნიავი ვარ და მგონია გშველი, —
სიცხიანს, მწუხარს კულულზე კკოცნი.

მაგ ბავშვურ შუბლსაც გიკოცნი მორცხვად,
გაბუსხულ ტუჩსაც, ბავშვურად ლამაზს...
ახლა სული ვარ და უფალს ვლოცავ —
შენს გადარჩენას ვულოცავ მამას.

მადლობა უფალს, რომ არ დაგვლუპა,
არ დამიობლა ძმები და დები.
მე კი, ბარტყივით ტანშეუბუმბლავს
ცად ანგელოზმა მაჩუქა ფრთები.

როგორ მინდოდა, მეც მოგსხრებოდი,
მეც გამეხარა ამ სამზეოთი,
მეც დამეძახა შენთვის „დედიკო“
და მამას ყელზე შემოხვეოდი.

ჩაწნული ვიყავ მომავლის ფიქრთან,
როგორც პეპელა ყვავილში რგული,
დაბადებამდე რამდენი მიკლდა,
ითვლიდა ჩემი პაწია გული.

ალბათ, გგონივარ დაღლილი სხივი,
ალბათ გგონივარ ხუნთქვა სიოთა,
შენ ხომ უძლებდი საკუთარ ტკივილს,
მე კი ძვირფასო, შენიც მტკიოდა.

თურმე ტყუილად მომიხაროდა,
შეხვედრა შენთან, ძმებთან და დებთან...
ახლა მოგტირით სხვა სამყაროდან
არარაობის ჩრდილი და სევდა.

რად გაანწილე ღვთის იმედები,
რატომ შეშალე და გაამრუდე,
ანგელოსების და პლანეტების
კეთილი გათვლა და ვარაუდი?

II

პოი, დედებო, რა პასუხს აძლევთ
რას ეუბნებით წარსულს და ხვალეს,
ვინ მოუაროს ვაზივით გამძლე
დიდების მსურველ პატარა მხარეს!

ვინ მოუაროს შენს ზვრებს და ანბანს,
შენს ხმებს, ჩუქურთმებს, იმედებს, სიზმრებს.
მაგ ცოდვას რაღა მირონი გაბანს
და მაინც გამშრალ ტუჩებზე ვიმცვრევ!
მირონო, ჩემი მიწის მირონო,
იმედო, რწმენავ — სულ შემენახე,
სულ იარაგევ, სულ ირონე,
სულ იჯეჯილე, სულ ივენახე.
— კიდევ სად არის სხვა საქართველო?
ჰაეროვის ლექსი და ციხის ქონგური.
— მიწაში, დედავ...
და ვინ დათვალოს
შვილი და ძირი, ჩემებრ მოკლული.
თუ სვეტიცხოველს ვერ ავაგებდით,
„ვეფხისტყაოსანს“ თუ ვერ დავწერდით,
მაინც ზედმეტი და მოსაკვეთი
არ ვიქნებოდით შენთვის არც ერთი...

შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეს
მტრედის გრუტუნი და მუხის ჩერო,
ჩხვნით,
აკვნებით და ბუდეებით
ამაღლდი, ჩვენო ფუძევ და ჭერო!..

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲘᲗ სახელოვანმა დიდოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა ერთხელ კიდევ ასახელა ქართული ჭადრაკი — ვილნიუსში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში მან მეოთხედ მოიპოვა ოქროს medaლი. საქმე, რა თქმა უნდა, მარტო ეს მედალი არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შემოქმედებითი თვალსაზრისით ნონა ყველაზე უკეთ თამაშობდა და მისი პარტიები ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას მოჰკვრის ჭადრაკის ყველა ჭეშმარიტ ქომაგსა და მოყვარულს.

საკავშირო ჩემპიონატზე, პრეტენდენტთა მატჩებსა და მომავალ შეჯიბრებებზე ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს ესაუბრა გაზეთ „კომუნისტის“ საჭადრაკო მომმხილველი **ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.**

— უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით, მოგილოცოთ ეს ახალი ბრწყინვალე წარმატება. რას იტყვით თქვენს თამაშზე ვილნიუსში?

— როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით კმაყოფილი ვარ. ვცდილობდი ისე მეთამაშა, რომ პარტიები შინაარსიანი გამომსვლოდა, სპორტულ მხრეს რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. თუ პარტიების თანამიმდევრულობის მიხედვით ვიმსჯელებთ, უპირველესად უნდა აღინიშნოს შეხვედრები ლიტინსკაიასთან, ზაიცევასთან, ჰედკოსა და ახშარუმოვასთან. ძალიან საინტერესო იყო საყაიმო პარტია ახმილოვსკაიასთან, სადაც, ალბათ, ყველა შესაძლებლობა ვერ გამოვიყენე. იგივე უნდა ითქვას მძაფრ პარტიაზე ზატულოვსკაიასთან, სადაც გარკვეულ მომენტამდე კარგად ვთამაშობდი, თუმცა შემდეგ შევცდი და, საბოლოო ანგარიშით ყაიმს დავჯერდი.

— თუ შეიძლება, დაგვახასიათეთ ის მოჭადრაკეები, რომლებმაც ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს. პირდაპირ უნდა გითხრათ, ლარისა მუჩნიკმა ძალიან „შეგვაშინა“.

— დასაწყისში მუჩნიკს „სთვალავში“ არავინ აგდებდა“, მეც იგივე დამემართა. ეს ახალგაზრდა მოჭადრაკე (იგი 27 წლისაა) ჯეროვნად არ შევაფასე და მასთან წაგაგე კიდეც. ამ წაგებას ყურადღება არ მივაქციე—ისედაც ლიდერთა ჯგუფში ვიყავი. მაგრამ დადგა ერთი დღე, როცა ორი გადადებული პარტიიდან (სადაც ობიექტურად, ერთი ქულის აღებაზე უნდა ეოცნება) მუჩნიკმა ორივე მოიგო და მოულოდნელად მთელი ქულით გამესწორო. ამ მომენტიდან, პირდაპირ უნდა გითხრათ, მუჩნიკმა შესანიშნავად დაიწყო თამაში, ჩინებულად სძლია უშუალო მეტოქეებს — ახმილოვსკაიასა და ლიტინსკაიას. მან შუა ტურნირში 8 შეხვედრიდან რვავე მოიგო! ამ მომენტში ისე ჩანდა, თითქოს ოქროს medalს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. აქ კი გამოჩნდა, რომ „მონომახის ქუდი მძიმეა“. ტრიუმფის მოახლოება იგრძნო თუ არა, მუჩნიკმა ვეღარ გაუძლო სატურნირო დაძაბულობას და ფინიშზე ორჯერ ზედიზედ დამარცხდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ამცირებს მის დიდ წარმატებას. მან ხომ ვერცხლის medaლი პირველად მოიპოვა.

ელენე ახმილოვსკაია, რუსეთის ფედერაციის № 1 მოჭადრაკე, რომელიც ახლა საქართველოში გადმოსახლდა, როგორც ყოველთვის, შინაარსიანად და ენერგიულად თამაშობდა, დიდი რისკის გაუწევლად. მე წინათაც მიმაჩნდა, რომ იგი ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე გამოვიდოდა. საერთოდ, ვერ ვიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას, რომ სადმე ელენეს ცუდად ეთამაშოს — მას საპრიზო ადგილების ჩინებული „კოლექცია“ აქვს.

ნინო გურიელს 7 ტურის შემდეგ 6 ქულა ჰქონდა! იგი თამაშობდა უდიდესი დაძაბულობით უკანასკნელ პაიკამდე. ნინოს სტილი მეტად ორლესულია — შეიძლება ზოგჯერ მეტოქემ ვერ გაუძლოს ასეთ სიმძაფრეს, შეიძლება თავადაც ვერ გაუძლო. ისე კი უნდა ითქვას, რომ გურიელი, სწორედ თამაშის სტილის გამო, ნებისმიერი ტურნირის საინტერესო მონაწილეა. ვფიქრობ, ვილნიუსში მას უფრო მაღალი ადგილი უნდა დაეკავებინა.

— საქართველოს სხვა წარმომადგენლებზე რას იტყვით?

— თამარ ხუციშვილმა მიაღწია იმ მიზანს, რომელსაც ისახავდა. მან 8,5 ქულა მოაგროვა და გაისად პირდაპირ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში დაუშვებენ. შეგახსენებთ, რომ გაისად საკავშირო პირველობა მსოფლიო ჩემპიონატისათვის შესარჩევი შეჯიბრების ციკლში შედის. ამავე მიზანს ისახავდა ციცინო კალაბრიშვილიც. მან ტურნირის პირველი ნახევარი კარგად წარმართა, მეორეში კი ნაკლები წარმატებით თამაშობდა.

— ახლა კი გთხოვთ გვიპასუხოთ კითხვაზე, რომელიც ყველას აინტერესებს. რას იტყვით პრეტენდენტ ქალთა მატჩების შედეგებზე?

— მე მეგონა, რომ ნანა იოსელიანი, ლიდია სემიონოვასთან შედარებით უდავოდ უფრო მაღალ კლასის მოჭადრაკეა, გაიმარჯვებდა. თუმცა ვითვალისწინებდი იმ ამბავსაც, რომ ნანას გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ახლა სრული ძალით თამაშს ვერავინ მოსთხოვს. ამ მატჩის შედეგი ჩემთვის დიდი მოულოდნელობაა. რაც შეეხება ალექსანდრია-ლევიტინას მატჩს, ჩანს, სწორად მიმაჩნდა, რომ მასში გამარჯვებული სულ უკანასკნელ მომენტში გამოვლინდებოდა. ალექსანდრიას მატჩის უმეტეს მანძილზე სათამაშო უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ლევიტინას უფრო მტკიცე ნერვული სისტემა აღმოჩნდა. ძალიან საწყენია, რომ ისეთი შესანიშნავად მომზადებული მოჭადრაკე, როგორიც ნანა ალექსანდრიაა, მსოფლიო პირველობის დასკვნითს ეტაპზე არ ითამაშებს.

— შემდეგ, რას ელით შემდეგ?

— ლევიტინა-სემიონოვას ფინალურ მატჩში მე უდავო უპირატესობას ლევიტინას ვანიჭებ.

— თუ შეიძლება, ზოგი რამ ვაუ პრეტენდენტთა მატჩებზეც გაგვიზიარეთ.

— სმისლოვის დიდებული თამაშით პირდაპირ აღტაცებული ვარ. რაც შეეხება კასპაროვს, რომლის სახითაც საქმე გვაქვს ძალიან ნიჭიერ მოჭადრაკესთან, მან გაამართლა კიდეც ჩვენი დიდი იმედები. ამ მატჩში ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვა კასპაროვი ვიხილეთ — აღელვებული, წინდახედული, შრავალმხრივი ტაქტიკით შეიარაღებული. იგი არა მარტო დიდებულად უტევდა, რაც წინათაც ახასიათებდა, არამედ, დიდი მოთმინებითაც იცავდა თავს. ერთი სიტყვით, იგი გასაკვირს არ აძლევდა მეტოქეს.

— თქვენი შემდეგი გეგმები?

— დასვენება, პირდაპირ უნდა გითხრათ, ძალიან ცოტა ხანს მომიხდება. უკვე 7 იანვრიდან მე და სემიონოვა ვებმებით იაიკეს (იუგოსლავია) დიდ საერთაშორისო ტურნირში. მე ჯერ კიდევ არა მაქვს მონაწილეთა სრული სია, რადგან ზოგ მათგანთან მოლაპარაკება ჯერაც არ დამთავრებულა. ისე კი, თამაშზე თანხმობა განაცხადეს კრიმლინგმა (შვეიცია), ვერეკი-პეტრონიჩმა, ივანჩუკმა (ორივე — უნგრეთი), მურეშანმა (რუმინეთი), ერენსკამ (პოლონეთი), იუგოსლავიის ყველა წამყვანმა მოჭადრაკემ.

ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების — კასპაროვისა და კორჩნოის მატჩი. მეთერთმეტე პარტიაში კასპაროვს თეთრებით სავსებით აძლევდა ხელს ყაიმი, მაგრამ კასპაროვმა შემტევი ტაქტიკა აირჩია და პარტია 32-ე სვლაზე მოგებამდე მიიყვანა.

ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 7:4 კასპაროვის სასარგებლოდ. იგი პრეტენდენტთა ასპარეზობის ფინალში გავიდა.

ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში თბილისის „დინამოს“ ახალი ხელმძღვანელობა საწყის ეტაპზე გაწეული მუშაობის ანგარიშით წარუდგა ფეხბურთის ვეტერანებს, ამ საქმის გამოცდილ სპეციალისტებს, ფედერაციისა და პრესის წარმომადგენლებს. ასეთი შეხვედრები კვლავაც მოეწყობა. ყოველივე ეს იმან განაპირობა, რომ ყველამ ხელიხელჩაკიდებული იზრუნოს დინამოელ ფეხბურთელთა შემდგომ მომავალზე, კოლექტივში ამ ბოლო ხანს თავჩენილი მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოფხვრაზე.

„დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა დ. ყიფიანმა შეკრებილთ აცნობა, რომ გუნდის უფროსია გ. ჩოხელი, მეორე მწვრთნელია ს. კუტივაძე, მწვრთნელები არიან შ. ხინჩაგაშვილი, შ. ჭეიშვილი და ა. ანდრეევი (ეს უკანასკნელი საერთო ფიზმომზადებაში). მეკარეებთან იმუშავებს ს. კოტრიკაძე.

„დინამოს“ კოლექტივიდან წავიდნენ რუხაძე, ბეგენაძე, ლოგუა, დოჩია. გუნდში მიღებული არიან ქუთაისის „ტორპედოდან“ ჭელიძე, თევზაძე, კეტაშვილი, ქანთარია; „დინამოში“ ითამაშებენ ჭილაია და ჟორდანია; ბათუმის „დინამოდან“ გადმოვიდნენ მეკარე ბალაძე და აბუაშვილი; „დინამოში“ ძალებს ცდიან აგრეთვე ახალგაზრდა ფეხბურთელები რესპუბლიკის სხვადასხვა გუნდებიდან.

შეხვედრაზე გამოითქვა მრავალი საქმიანი წინადადება და შენიშვნა, რის განხორციელებამაც უთუოდ უნდა შეუწყოს ხელი თბილისის „დინამოს“ აღორძინებას.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

ᲓᲘᲓᲘ სამამულო ომის თემას ეძღვნება ახალი ქართული მხატვრული ფილმი **„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲛᲔᲢᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲭᲠᲔᲑᲐ“**, რომელიც რეჟისორმა დევი აბაშიძემ კინოდრამატურგ სულიკო ქენტის სცენარის მიხედვით გადაიღო.

— ომს ძნელად გაიგებ, თუ თავად არ გამოსცადე იგი, — ამბობს ფილმის მთავარი გმირი, ასტრონომი ალექსანდრე ბიბილეშვილი, რომლის ცხოვრების ჩვენებითაც მაყურებლის წინაშე გაიელვებს ომის მშფოთვარე დღეები. თუმცა ფილმის მოქმედება მიმდინარეობს მშვიდობიან დღეებში, მაგრამ იგი აცოცხლებს წარსულსაც.

მთავარ როლში მაყურებელი იხილავს რესპუბლიკის სახალხო არტისტს თენგიზ არჩვაძეს, ფილმის ოპერატორია ი. ამასიისი, მხატვარი — ნ. ტარიელაშვილი, კომპოზიტორი — ჯ. კახიძე.

ფილმი რესპუბლიკის ეკრანებზე ორშაბათიდან გამოდის.

●●

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲤᲘᲚᲛᲘᲡ „ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲛᲔᲢᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲭᲠᲔᲑᲐ“ ᲙᲐᲓᲠᲘᲡᲒᲐᲜᲘ.

---

45 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲭᲐᲠᲝᲨᲘ

ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲐᲡᲔ ეწოდა სასწავლო პროგრამით გაუთვალისწინებელ გაკვეთილს, რომელიც ახლახან ჩაატარა თბილისის 172-ე საშუალო სკოლამ მარჯანიშვილის თეატრში. ღონისძიების განხორციელებაში ახალგაზრდა პედაგოგს ლ. გიორგაშვილს მხარში ედგნენ 26 კომისრის რაიონის ესთეტიკური აღზრდის მეთოდისტი ც. ზედელაშვილი და სკოლის მთელი პედკოლექტივი.

მოსწავლეთა არჩევანი ჰარჯანიშვილის თეატრზე იმიტომ შეჩერდა, რომ სწორედ აქ ეგულებოდათ თავიანთი საყვარელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა ასეთ შეხვედრაზე.

ბევრი რამ აინტერესებდათ მოსწავლეებს და რეჟისორიც სიამოვნებით უპასუხებდა კითხვებზე. უფრო მეტიც, სთხოვდა კიდეც— ძოდით, ეიკამათოთო... შესიტყვებას, რა თქმა უნდა ვერავინ ბედავდა, მაგრამ შეხვედრის დასასრულს მაინც გაამყღავნეს თავიანთი განსხვავებული მოსაზრებანი. ყმაწვილთა დიდი სურვილი ყოფილა სცენაზეც ეხილათ „დიდოსტატის მარჯვენა“. თუ რმე ნუ იტყვით და, როლების განაწილებაზეც უფიქრიათ: მეფე გიორგის, რასაკვირველია, ო. მეღვინეთუხუცესს ვანდობთო, შორენასა და არსაკიძის როლების შემსრულებლები კი ჯერაც არავინ გვეგულებოა. ბოლოს თ. ჩხეიძესაც ჰკითხეს, — თქვენ ვის ათამაშებდითო? — ეგ რომ ვიცოდე, ხომ დავდგამდიო! — იყო პასუხი, ამას გარდა, მოსწავლეებს ისეთი თანამედროვე სპექტაკლის ნახვაც სურვებიათ, თანატოლებზე, პედაგოგებსა და მისაბაძ გმირებზე რომ მოუთხრობი. აკი რეჟისორსაც „ურჩიეს“, — ყველაზე კარგ დრამატურგს სთხოვეთ ასეთი პიესის შექმნაო.

... თუ შეხვედრის დაწყებამდე იმაზე ვფიქრობდი, რატომ აუარეს გვერდი მოზარდ მაყურებელთა თეატრს მოსწავლეებმა და მაინცდამაინც აქ ირჩიეს გაკვეთილის ჩატარება, ახლა ოდნავადაც არ მეეჭვებოდა ასეთი შეხვედრის აუცილებლობა. მოსწავლეები უფრო ახლოს უნდა იცნობდნენ მუსიკას, ფერწერას, პოეზიას, ხელოვნების ყველა იმ დარგს, რომელთაგანაც შესდგება თეატრი.

Ქ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲡ

ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲘᲡᲔᲗ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლაში, როგორიც არის დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი, ყვავილი, წითელა, პოლიომიელიტი და სხვა, პროფილაქტიკური აცრები დიდ როლს ასრულებს.

თუ წარსულში ამ დაავადებებით უამრავი ბავშვი იღუპებოდა ან მთელი სიცოცხლის მანძილზე არასრულფასოვანი რჩებოდა, ამჟამად პროფილაქტიკური აცრების წყალობით აღინიშნება დაავადების და სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირება. საერთოდ კი, აცრების შემოღებამ არა მარტო შეამცირა, არამედ აღმოფხვრა კიდეც მთელი რიგი მძიმე დაავადებები.

ამის მნიშვნელობა კარგად ჩანს თუნდაც დიფტერიით სიკვდილიანობის მაჩვენებლებში, რომელიც აღწევდა 46 პროცენტს, ე. ი. დიფტერიით დაავადებულ ყოველ 100 ბავშვიდან 46 იღუპებოდა, ან პოლიომიელიტით დაავადების მაჩვენებლებში, რომელიც აცრების შემოღების შემდეგ 125-ჯერ შემცირდა.

ბავშვთა ინფექციებით დაავადების და სიკვდილიანობის მკვეთრმა შემცირებამ ერთგვარად შეასუსტა მედპერსონალის და მშობლის ყურადღება ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი.

მოვიდა მედიცინის მუშაკთა ახალი თაობა. ბევრი მათგანი ომვეათად ან სულაც არ შეხვედრია ამ მძიმე დაავადებებს და ამის გამო სერიოზულად არ ეკიდება აცრებს. გარდა ამისა გავრცელებულია ხმები იმ ზიანისა და გართულებების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს აცრამ. აცრის რეაქციების გამოკვლევით დადგინდა, რომ ამ რეაქციებს არავითარი კავშირი არა აქვს ვაქცინასთან, ან რეაქციები მაშინ არის, როცა აცრის წესები ირღვევა. რეაქცია შეიძლება გამოვლინდეს ხანმოკლე ციების, შეუძლობის, მადის დაკარგვის სახით, რაც ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე თვით დაავადება. ითვალისწინებენ რა საწინააღმდეგო ჩვენებებ